

თეგეგვალი № II, 1902 წელი.

# მეგეგვარი

წელიწადი მეგეგვი.

თ გ ი ლ ი ს ი

სტამბა გაზეთ „ტფილისის ფურცლისა“ და ექვ. ივ. ხელაძისა, ლორ. მეღ.

1902

## შინაარსი № 2:

	გვ. №
1. ამერიკის სიძველენი . . . . .	79.
2. მთიულთ ცხოვრებიდამ, ე. გუგუშვილისა . . . . .	81.
3. ჰერეთის აღწერა, ინგილო ჯანაშვილისა . . . . .	87.
4. ამბავი კნენა ეკატერინე ჩიჩუასი . . . . .	98.
5. ქართული სილყვიერების ისტორია, ბ. კ. —ისა . . . . .	110.
6. ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობა, თარგმანი ალ. ტატუნაშვილისა . . . . .	118.
7. ანტონი I, კათალიკოს-პატრიარქი საქართველოსი, თხზ. თ. ჟორდანიასი, თარგმანი კ. ანთაძისა . . . . .	125.
8. სატირალი ანუ გასვენება, აფრ. მერკვილაძისა . . . . .	142.
9. ქართველთ მოქცევა, ლ—ისა . . . . .	146.

წარსული წლის „მოგზაურის“ უკუდა ნომრები, კარგის  
უდით და წაწყურით დარს გაგზავნათ სამი მანეთი.

გამოვიდა და ისყიდება გამოცემა ზაქარია ქიქინაძისა

# „თხმარ ღაზნელი“

თხზ. ანტონ ფურცელაძისა. ფასი 50 კაპ.

თებერვალი, № 2, 1902 წელი

# მ ო გ ზ ა უ რ ი

6 973

ისტორიულ-არქეოლოგიური და გეო-  
გრაფიულ-ეტნოგრაფიული სურათებიანი  
ჟურნალი, გამოვა უოველის თვის პირველ რიცხვებში.

ფასი ჟურნალისა გაგზავნათ:

წლით—ხუთი მანეთი, ნახევარ წლით—სამი მანეთი.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს: ВЪ ТИФЛИСѢ,  
въ Редакцію „МОГЗАВРИ“.


თბილისში ხელის მოწერა მიიღება წერა-კითხვის გამავრ-  
ცელებელის საზოგადოების მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან,  
ძმათა იმედაშვილების წიგნის მაღაზია, „ნდობის“ წიგნის მა-  
ღაზიაში (ქვაშვეთის გიორგის ქუჩაზე), დავით გაბრუაშვილ-  
თან „პურ-ღვინოს“ გვერდზედ და თვითონ რედაქტორთან  
(მამა დავითის მეიდანზე, სახლი № 20).

რედაქტორ-გამომცემელი ი. პ. როსტომაშვილი.

თ ბ ი ლ ი ს ი

სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 28.

1902





*Дозволено цензурою. Тифлисъ, 24-го Января, 1902 года.*

## ამერიკის სიძველენი.



მერიკის სიძველენი განიყოფება სამად: 1) სიძველენი ჩრდილო ამერიკისა; 2) შუა ამერიკისა და 3) სამხრეთ ამერიკისა.

ამათში სიძველენი ჩრდილო ამერიკისა ეკუთვნის მკვიდრთა პირველ დროის ყოფას. ეს სიძველენი არიან: თხრილ-სანგლები და გორხანები, რომლებიც გაკეთებულია ქვითა და მიწით; თხრილ-სანგლები და გორხანები ისე მრავლად მოიპოვება იქ, რომ პირველად ბუნების ნაწარმოებად სთვლიდნენ მათ. მაგალითად, მარტო ერთს ოგეიოს შტატში აქამომდე დათვლილია 10.000 გორხანა და 1500 ნაქალაქევი. კაგოკიას გორხანას ილინოისში აქვს სიგრძე 100 საყენამდის, სიგანე 70 საყენამდის და სიმაღლე 13 საყენამდის. ადამსის საგრაფოში არის თხრილ-სანგარი სიგრძით 2 ვერსი და 172 საყენი, ხოლო სიგანე მარტო თხრილისა, რომელიც ზოგან დაგებულია ქვით, უდრის 9 საყენს. რაც შეეხება ნაქალაქევებს, ზოგიერთ მათგანს უკავია 80 დესეტინამდის ადგილი.

ზოგიერთს გორხანებში იპოვნეს ადამიანის ძვლები და სხვა-და-სხვა ნივთები—თიხის მშვენიერი მოხატული ქილები, ბადიები, ჩიბუხები და იარაღი ვერცხლისა, სპილენძისა და სხვა, რომლებსაც აკუთვნებენ ქრისტიანობის პირველ ხანებს. სჩანს,

რომ იქ მცხოვრები ხალხი საკმაოდ განვითარებული და შეძლებული ყოფილა, რომ აუგია ამოდენა ქალაქები და თხრილ-სანგრები. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მიწის მუშაკობას მისდევდა და საზოგადოთ გაცილებით მაღლა იდგა მოქალაქურის ცხოვრებით იმ ველურ ინდიანებზე, რომლებსაც მოესწრნენ აქ ევროპიელნი ამერიკის აღმოჩენის დროს. რა იქნა ეს ხალხი, გადასახლდა სადმე, თუ ამოწყვეტილ იქმნა სხვა უფრო მძლავრის ხალხისაგან, გამორკვეული არ არის.

უფრო მაღალის კულტურის ნაშთები სამხრეთ ამერიკაშია — პერუსა, ბოლივიასა და კვიტოში. აქ აღსანიშნია ტაძრები, სასახლენი, სრა-პალატნი, არხები, ხიდები, ციხეები, გზები და ტაგრუცები იქ მცხოვრებ ხალხის — ინკებისა. ტაძართ შორის აღსანიშნია ერთი უმთავრესი ტაძარი მზე-ღმერთისა ქუსკოში და 300 სხვა ტაძარი ამავე ქალაქში. თუ სადამდის დიდები იყო ინკების ტაძრები სხანს იქიდამ, რომ მარტო ერთს უმთავრეს ტაძარში მსახურებდა 4000 მოგვიანდელ

ამაზე უფრო საინტერესო და შესანიშნავი ნაშთები აღმოჩნდა შუა ამერიკაში — ძველს მექსიკასა და იუკატანში — ნაქალაქეები, ტაძრები, სრა-პალატნი, სიმაგრენი, ქანდაკებანი და მხატვრობიანი წარწერანი. მექსიკაში, მაგალითად, დაცულია აქამომდე ძველი ტაძარი, პირამიდის მსგავსად აგებული ხუთ-სართულად და ორის კოშკით. ასეთის პირამიდალურის ნაშთებით სივსეა შუა ამერიკა.

# მთიულთ ცხოვრებდამ

(მგზავრას შენიშვნები).

ფიხონმა (სამ-კედლიანი სახლია) თავი მოკურია 15-დე თუშ-ფშაგ-  
ხევსუხსა და მდერინს:

ერეკლე ბატონის შვილი  
განა უბრალო კაცია,  
სათათრე გამამტვერა,  
ნაპირი დაღისტნისაო.  
ეგ მანდითა რა დაბრუნდა,  
საით რა იქმსა პირსაო.  
ცახეს ქან-ქანა შეუდო,  
ხელ-ფეხ ჩამოდის მკვდრისაო.  
ჰკვირობენ თათრის შვილები,  
ერეკლე რას შვრებისაო.  
რათ გიკვირთ, თათრის შვილქო,  
შვილია ბატონისაო,  
ნაწურთნი თამაზ ხანისა,  
გაზრდილი თამარისაო.  
ატირდა ერეკლეს ცოლი,  
იმერელთ მეფის ქალიო,  
ვერ გაიგითა, ქართველნო,  
შეგეხსნათ რკინის კარიო,  
მეფე ერეკლე აღარ გყავთ,  
ბაგრატიონთა გვარიო;  
დაჩუმდა ბარიახები,  
აღარ ქეჲს ზარბაზანიო,

მცხეთას დგას ოქროს კუბოი,  
 შიგ ჰნათობს კელეპტარიო,  
 შიგა წევს მეფე ერეკლე  
 ბაგრატიონთა გვარიო,  
 მარჯენივ ენათა სანთელი,  
 მარცხენა გულზედ ჯვარიო.  
 სანამდის ვიყავ, ცხენს ვიჯექ,  
 წავძრენ-წამოვძრენ ზღვანიო,  
 ახლა თქვენ შეინახილით  
 ქალაქი, მეიდანო.

**შემოდის მოხელე.** გამარჯვება თქვენი!

**ხალხი** ფეხზედ აუდგება, დიდის ჰატივისცემით საღამს გადაუხდის  
 და მიუგებს: კნიაზი აღდგერძელა ღმერთმა!

**მოხელე.** კეთილნო ხალხნო! მე ვარ მოსული გლახთა ცხოვ-  
 რების გამოსარკვევად თიანეთის მაზრაში.

**ზოლიც. ბოქაული.** თუშ-ფშავ-ხევსურნო! მე, როგორც თქვე-  
 ნი პრისტავი, თამამად შემიძლიან დაგარწმუნოთ, რომ  
 ეს ბატონი ისეთი ყმაწვილი კაცია, რომელიც თავგანწი-  
 რულია საზოგადო მზრუნველობისათვის და ნამეტნავად  
 გლახთა მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის მზად არის  
 თავისი ძალა და ღონე შესწიროს. ამიტომ თამამად შე-  
 გიძლიანთ მიენდოთ მას და აუწყოთ თქვენი ყოველი  
 ნაკლულოვანება, გაჭირვება და სისაწყლე.

**მოხელე.** ძმანო მთიულნო, რაში მდგომარეობს თქვენი უმ-  
 თავრესი ხელოვნობა?

**ერთი ფშაველი.** კნიაზო, განა არ მოგეხსენების, შენი კვენ-  
 სამე, ჩვენი სისაწყლის ამბავი. რა სახსენებელია ჩვენი  
 ცხოვრება. სულადს ჩვენ ბარით ვეზიდებით ულაყებით,  
 რადგანაც სახნავ-სათესი ალაგი ძალიან ცოტა გვაქვის.  
 ჩვენი ცხოვრება თუ არის რამე, დამოკიდებულია ორი-  
 ოდე ჯანდაკზედ (ე. ი. ცხვარზედ). აქამდის კიდევ ამით



ვცხოვრობღთ, მაგრამ ეხღა ისე გაგვიქირეს საქმე<sup>2</sup> რომ ყოვეღ ფეხის გადაღმეზედ საბაღახეს გვართმევენ. შირაქიღან რაკი წამოვალთ გაზაფხულზეღ, სანამ ფშავში მოვალთ, გაზაფხუღის ბატკანი ნახევარი საბაღახეს უნღების.

**ძახელე.** როგორ, გაზაფხუღის ბატკანი სულ იმათ საბაღახეს უნღება? ვის შეუძღლიან თქვენ აგრე შეგავიწროოს? რა უფღლება აქვსთ, რომ თქვენ აგრე უკანონოღ საბაღახეს გართმევენ?

(ხევისურები ერთმანეტს:)

ღიღის ღმერთის მაღღმა, ვაყებო, ჩვენ ღმერთაღ მოსულა ეს კაცი. ნეტარ არ გაღმოვალისავ ჩვენს ხევისურეთჩიღაცა!?

**ძახელე.** თუშ-ხევისურნო, თქვენც ესე შევიწროებაში ხართ?

**ხევისურება.** ღიღის ღმერთის მაღღმა, კნიაზო, რაიას მაგათი შეწუხებაი? აბა, შეწუხებაიღ ჩვენჩია. მაგათ თუ საბაღახეს ართმევენა თავის ცხვრის საძოვარჩი, ჩვენ სრულიაღ ურჯულოებისაგან ვართ აკლებულნი: უღაყებს და წვრიღ-მსხვიღ ფეხს ჩვენ აღარ გვარჩენენ, ღამის ღიაღ-ყმაწვიღებიღ კი გაგვიღაღონ.

**ძახელე.** თუშებო, თქვენა? თქვენც ასეთ მღგომარეობაში ხართ?

**თუშება.** ჰეჰე, კნიაზო, მაგათ გაქირეება რა არის, ზოგი ჩვენიღ უნღა გაიგოთ. მაგათ ცხვრის საბაღახეს ართმევენ და ქისტები ცხენებს ჰპარავენ და სხვა არაფერია მაგათ თავსა. ჩვენ თუშნი ისეთ გაქირეებაში ვართ, კნიაზო, რომ ძნელაღ გამოსათქმელია. განა არ მოგეხსენებათ, რომ ჩვენ თუშნი დაღესტნის კარზეღ ვღგე-ვართ ღღე და ღამ იარაღ შესხმულნი, ყოვეღ წამს მოვეღლით ტაცებას, გაცარცვას და ამოხოცვას ღეკე-ბისგნით. ვის შეუძღლიან აღრიცხოას რავღენი ვაე-კაციღ და ღიაღნი ტყვეღ წაუყვანიათ ჩვენი თუშეთიღგან და

ჩაღმა პირიქითიდგან ლეკებს! დიკლო, შენაქო ლეკებისაგან იყო აკლებული და პირიქით თუშეთი ქისტებისაგან. განა არ მოგეხსენება, ჩვენ ხენა-თესვა არა გვაქვს, გცხოვრობთ ცხვრით და საქონლით. როცა გაზაფხულზედ ცხვარს და საქონელს გავრეკავთ ლეკის მოებში, ჩვენნი დიაცნი ყოველ დღით მოელიან ჩვენი დახოცვის და საქონლის დატაცვის ამბავს. შარშან დიკლოელ დაო (დაჯათ) ბახტურაიძის ცხორი წაიღეს. სამ-სამ, ოთხ-ოთხი მწყემსებიც დაუხოცეს ურჯულო ლეკებმა. მართალია, ხოცვა-ჟლეტას არც ჩვენ ვაკლებთ ლეკებს და კრიჭაში უდგევართ, თორემ, განა არ მოგეხსენებათ, მთელ ქართლ-კახეთი სულ აკლებული იქნებოდა მაგადგან, მაგრამ მაინც და მაინც ჩვენი საქონელი კი სულ იმათგან არის განახევრებული და ხალხიც მრავალი დახოცილი.

**მოხელე.** განა თქვენ, თუშნო, თქვენი საქონელი ლეკის მთაში მიგიდით ზაფხულობით საძოვრად?

**თუშები.** ზაფხულობით ჩვენი ცხვრის და საქონლის საცხოვრებელი ლეკის მთებია, უიმათოდ ჩვენი საქონლის ცხოვრება ზაფხულობით არ შეიძლების.

**მოხელე.** საბალახეს ხომ არაფერს გართმევენთ?

**თუშება.** როგორ არა, მაშ მუქთად ვინ გაგვიშვებს.

**მოხელე.** ვის აძლევთ საბალახეს, მთავრობას?

**თუშნა.** მთავრობას კი არა ლეკებს!

**მოხელე.** ჰაა... ეს კარგია, რომ ეს საინტერესო ამბავი გამაგებინეთ. ფშავლებო, თქვენ ყოველთვის შირაქში მიგიდისთ ცხვარი?

**ფშავლები.** კი, შენი კენესამე, ვისაც კი ცოტა მომეტებული ცხვარ ჰყავს ზამთრობით ყოველთვის შირაქში მიგიდის.

**მოხელე.** საზოგადოთ მთიულებს გართმევენ რამეს ზამთრობით შირაქში საძოვარს?

**თუშ-ფშაკუნა.** არაფერს გვართმევენ, მარტო მგზავრობის ღროსა ვართ ძლიერ შეწუხებულნი.

**მოსხელე.** თქვენს თვითეულს რამდენი გეყოლებათ ცხვარი? მაგალითად, თქვენ, ფშავლებო? სხვათა შორის, მე მინდოდა გამეგო თქვენი სახელები—ფშავლისა, ხევსურისა და თუშისა. მაგალითად, ფშაველო, შენი სახელი რა არის?

**ფშაკუნა.** ფოცხვერა ნადირას ძე ვეფხვიაშვილი.

**მოსხელე.** შენი, ხევსურო?

**ხევსური.** აპარეკა კუკუას ძე არაბული.

**მოსხელე.** შენი, ძმობილო, თუშო?

**თუშა.** ნებიერ ხიწვას ძე აბაშიძე.

**მოსხელე.** თქვენ წლიური გადასახადი სახელმწიფო ხარჯი რა გაწერიათ?

**ფშავლება.** ჩვენ გვაწერია წელიწადში ოთხი მანათი და ერთი აბაზი.

**ხევსურები.** თითო ცხვარი (ექვსი აბაზი).

**თუშება.** სამი მანეთი და ცხრა შაური.

**მოსხელე.** ვისაც შირაქში ცხვარი მიუდის, საშუალოდ რომ ავიღოთ, რამდენი სული ეყოლება? მაგალითად, შენ, ძმობილო ფოცხვერა?

**ფოცხვერა.** რა თქვენი საკადრისია, კნიაზო, არც კი ღირს სათქმელად!

**მოსხელე.** მაინც, ჩემთან რა დასამალია, მითხარი რაოდენი გყავს?

**ფოცხვერა.** რა სახსენებელია, კნიაზო, ორიოდე ჯანდაკი.

**მოსხელე.** მაინც მითხარი, მე ხომ მაგას არავის არ ვეტყვი.

**ფოცხვერა.** რა სათქმელია, ხუთი ათასი არც კი გამოცალის.

**მოსხელე.** (იქით მაიხედავს გაკვირვებითა და ჩაფიქრებით) განა სხვებსაც მაგდენი ჰყავთ?

**ფოცხვერა.** თქვე დალოცვოლო, მე რა სახსენებელი ვარ გუგულაანთან, ზურაბთან, ნაკვეთაურთან, რომელთაც ათი-ათასობით ჰყავთ.

**მოხელე.** თუშებს და ხევსურებსაც ვგრე ეყოლებათ?

**ფოცხვერა.** ხევსურებისა კო რა მოგახსენოთ, მაგათი სიმდიდრე იარაღი და სპილენძეულობა არის, ამათ ცხვარი ბარში არ მიუღით. ამათში, რომელიც უდიდესი ოჯახია, ბევრი ეყოლოს ორმოცდაათი ან სამოცი; მხოლოდ თუშებში, მაგალითად, ქადაგიძეებს, ბუქურაულებს და ლაზიძეებს ვგრევე ბლომად ჰყავთ ცხვარი, როგორც ფშავლებს.

**მოხელე.** (იქით) ეს მეორე საგანიც კარგად გამოვირკვიე. შიგ თქვენ სოფლებში ახლო-მახლო რაც საძოვარია, იმათ ხარჯი ხომ არაფერი არა აქვს შეწერილი ხაზინის სასარგებლოდ? ან ტყეებს „ლესნიჩები“ ხომ არა ჰყავთ დაყენებული?

**თუშ-ფშავ-ხევსურნი.** არაფერი, ღმერთმა დაგვიფაროს!

**მოხელე,** ეხლა მშვიდობით, ძმანო, უნდა წავიდე თქვენს ქვეყნებში, აქიდგან არაგვზედ ავიარო, გავიარო ორწყალზედ, დავათვალიერო მთები, ავიდე ხევსურეთში, გავიგო იქაური ხალხის ზნე-ჩვეულება, დავათვალიერო დიდებული ხანმატის და გუდანის სალოცავები, შემდეგ გადავიდე პირიქით შატილში, ვნახო იქაური უდიდებულისი ციხეები, რომლებზედაც, როგორც კი გამიგია, გაკრულია გმირულად დახოცილთა ურჯულო ვაჟკაცთა ხელები. იქიდგან უნდა მოვუხვიო სამხრეთისკენა და ყინულეთის ბურუსიან მთაზედ გადავიდე პირიქით თუშეთში სოფელ ფარსმაში, დართლოში და იქიდგან გადავიდე ჩაღმა თუშეთში დიკლო-შენაქოში. დავათვალიერო ის შესანიშნავი ალაგები, სადაც სახელოვანთ თუშთ გმირთა-გმირებსა: ელიზბარიძეს, შეთეს და სხვათა ასობით ხმლით უსრესიათ ლეკები და იქიდგან ჩავიდე პანკისის ხეობაზედ კახეთში. ეხლა, სხვათა შორის, მე მინდოდა გამეგო აქ, ყველა სოფელს აქვს ეკკლესიები, ღვდელი და წირვა-ლოცვა თუ არა?

**ხევსურა.** ეკლესიები გვაქვის, კნიაზო, ათიდგან ოცამდე, სოფელზე თითო ეკლესია, მღვდელიც გვყავის, მაგრამ ჩვენში მღვდლები არ გვარობენ. ჩვენ თითონ ჩვენი ხევის-ბერები და დეკანოზები გვყავის, რომელნიც წირვა-ლოცვას ასრულებენ ჩვენებურ ჩვეულებაზედ!

**მოხელე.** როგორ თუ თქვენებურ ჩვეულებაზედ? განა უწინ თქვენში ღვდლები არ ყოფილან?

**ხევსურა.** შეიძლების, რომ, როგორც ჩვენი მამა-პაპა მოგვითხრობს, ყოფილიყოს მღვდლები იმ დროს, როდესაც ხევსურნი ბარიდგან შიშიანობის დროს გამოქცეულან და შემოხიზნიან მთებს, თან მღვდლებიც გამოყოლიანთ, მაგრამ ხალხს უფიქრნია, რომ როდესაც ეს მღვდლები დაიხოცების და მღვდლების მაკურთხებელი აღარ გვეყოლებიანო, რომ ჩვენში ქრისტიანობა არ დაკარგულიყო, ხალხს თითონ შეუსწავლია ლოცვები დასაცველად ქრისტიანობისა.

**მოხელე.** ესლა აქ თქვენგანმა არავინ იცის ლოცვები, რომ გავიგო რა ნაირად იწყობა და რა შინაარსი აქვს?

**ხევსურა.** ჩვენ კარგად არ ვიცით, მაგრამ ჩვენ გვყავს. რომელმაც კარგად იცის ლოცვები. (ესთი იმათგანი გავა და შემოიყვანს ხევსურს, სახელად მანგია ჭინჭარაულს, რომელიც შემოსვლას დრას ქუდს იხდის).

**მოხელე.** ძმობილო ხევსურო, შენ იცი ხევსურული ლოცვები?

**ხევსურა.** დიად, კნიაზო, ცოტაოდენი მიმდის.

**მოხელე.** მაშ აბა ერთი გაგვაგონე.

**ხევსურა.** დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა, დიდება ღმერთსა, ღმერთსა მზესა, გზის მყოლთა ანგელოზთა დიდება და გამარჯვება, წმიდაო გიორგიო, შენ გადიდოს, გაგიმარჯოს მოხსენებულთა სადიდებელითა. შენი ძალი და სამართალი შენი მორიგე ღმერთი გადიდებს და გაძლიერებს, შენ ნუ მოიწყენ შენსა მეხვე-

წურსა, ჩოქის მომხრელსა, მადლის მამთხოვსა, რასაც მხარზედა გულზე გეძახდნან, იმაზედ გაუგონიდი, რასაც წყალობას გეთხოვობოდან, ის წყალობა უბოძიდი. თავობით კაცის მეხვეწურნი იყვნან კაცსა მოუმატიდი ამათ მყუდროში კატრიულობასა პურსა და პურის მკამელსა, წულსა და წულის აკვანსა კედის გარეთ გავიდოდან ბედსა და დავლაძსა შენს ეძახდნან გაყვიდი, გაუმარჯვიდი მტერზედ, ნადირზე ხელი მოუმართიდი, მტერს მიზღვედნან მისწავნიდი, მტერია მოზღვედეს გამოხწივნიდი ამათად შამოქცეული ლაღი მტერი და მწარე სიკვდილი თავს შენ შაქციიდი, გზას უკულმა მიუქციიდი. ეს ზამთარი მშვიდობით გადააყრიდი, გაზაფხული რგევებისა ჩამოუყენიდი, ხარისას და ხელის ნამაშვრალს ჯვარი დაუწერდი, ბარაქა დაუტანიდი თურა ღვთის კრით ღვთის იასაული გამოვიდოდეს ხორციელთ ჰბეგრავდას ყალანსა იღებდას ამათ ყუდროს ნუ მოჰკერძიდი, სხვა ადგილი მისწავლიდი, გზა უკულმა მიუქციიდი, მეშველი და მწყალობელი, მხენელი და ხოიშნებელი.

**მოხელე.** ეხლა კიდევ მშვიდობით, ძმანო ფუშ-ფუშავ-ხვესურნო. (გაჟა)

ელიზბარ გუგუშვილი.

(შემდეგი იქნება).



ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა

## ჰერეთისა

(შემდეგი \*).

კაკის ოდესმე ქალაქად ყოფნას ამტკიცებს ხალხის გად-  
მოცემაც შესახებ დიდისა და მცირის აზნაურთა ხეობებისა.  
ეს ხეობები არიან კაკში მდინარე ქურმუხის მარცხენა მხარეს,  
ერთსა ჰქვიათ „დიდი აზნაური“, მეორეს — „მცირე აზნაური“.  
ორივეში მდგარან თავადნი და აზნაურნი, აქვე ორა და-  
შლილი და დარღვეული ეკლესიას, უთუოდ დიდებულთა  
სალოცავები. მამა-პაპათა გადმოცემა გვაუწყებს, რომ დიდსა  
და მცირე აზნაურში კეთილშობილნი სცხოვრებდნენ. ახლა  
აქ აღარაინ სცხოვრებს. იქ უცხოვრიათ ცალკე თავად-  
აზნაურობას, ხალხი ეხლანდელ კაკში — გლეხებს; მაგრამ  
შემდეგში გლეხნი და კეთილშობილნი არეულან. რად მოი-  
ყრიდა აქ, ორს ხეობაში, თავად-აზნაურობა თავს და იცხოვ-  
რებდა ცალკე გლეხებისაგან, თუ კაკი ქალაქი არ იყო?  
დელთაველლე ამბობს, რომ ქართველთა თავად-აზნაურობა  
გლეხებში არ კადრულობს გარეენას და მათგან მოშორებით  
ცხოვრება უყვარს, მსგავსად საფრანგეთის კეთილშობილთაო!  
ამასთანავე ამბობენ, რომ კაკის გლეხებიც გააზატებულნი  
იყვნენ მეფეთაგან სამეფო ხარჯ-ბეგრისაგანაო. არა ერთხელ  
ბიძაჩემს უთქვამს, აგრეთვე სხვებსაც, რომ კაკის გლეხებიც  
აზატებად ყოფილანო. ესენი და აზნაურები დარაჯები ყო-  
ფილან დაღისტნიდგან მომავალ გზებისა. ისინი არ უშვებ-

\*) იხ. „მოგზაური“ 1901 წ. № 12.

დნენ დაღისტნიდგან ჩამოსასვლელად ზაზარებსა და ლეკებს კახეთში კაკის ხეობიდან. ისინი იცავდნენ კახეთს ამ მხრიდან. ამათ შველოდა ამ დარაჯობაში აგრეთვე სოფელი წახური, რომელიც კავკასიის მთის მწვერვალზეა (წუქეთში) და ერთის მხრით უყურებს დაღესტანს, მეორეს მხრით—კახეთს. კაკიდგან წახურამდე იქნება 15 ვერსი. გზა მიდის ხევებზე კავკასიის მთებში. მაგრამ წახურამდე ახლა არის კიდევ ორი ლეკის სოფელი: ილისო და სარუბაში. ესენი ორივენი ახალი სოფლები არიან. ლეკები აქ დაუსახლებიათ კაკის ანუ წუქეთის სულთნებს მე-XVII საუკუნეში, როცა შააბაზმა კაკი ჩამოართო კახეთს, გაამაჰმადიანა თ. ვახვახიშვილი და და გაასულთნა. ხოლო წახური ძველებური ქართველთა სოფელია. 1310 წლამდე იქ ქრისტიანობა იყო. ჰქონდათ წახურელებს ეკლესიაცა, მდინარე სამურის ნაპირზე. ის უნახავს ეფთვიმე კათალიკოსს. ასე სწერს კირილე დონაური. „მე ვნახე 1868 წელს, მაგრამ, როცა წახურელები ლენგთემურს გაუმაჰმადიანებია, ეკლესია მეჩითად გადაუკეთებიათ. ძალიან ძველი შენობაა. ჩემს ნახვის შემდეგ ძველი შენობა წახურელებს დაუნგრევიათ და მის ნაცვლად მისსავე საძირკველზე ახალი მეჩითი აუშენებიათ (დიდი მეჩეთი არ გეგონათ). არ ეს წახურელებიც მოუთხრობენ: „ჩვენა და კაკელები ძმები ვართ. ჩვენ ვიცავდით კაკამდე ამ ხეობას უცხო თესლთა შემოსევისაგან, და თუ ჩვენ გაგვცდებოდა მტერი, მერე კაკი უდგებდა წინ და არ უშვებდა კახეთის ასაკლებად. ამ სამსახურისათვის ჩვენცა და კაკელებიც აზატნი ვიყავით: არავითარი ხარკი და ბეგარა არ გვეთხოვებოდა. ჩვენი მოვალეობა მხოლოდ ის იყო, რომ ამ ხეობაზე წასასვლელად კახეთის დასარბევად მტერი არ გაგვეშვა. ამის წერილობითი საბუთიცა გვაქვსო. ის არის დაწერილი ერთს დიდს ქვაზე. ზედ აწერია, რომ ჩვენა და კაკელები აზატნი ვართო, მაგრამ, რადგან სწერია, რომ ჩვენი წინაპარნი ქრისტიანები იყვნენ, ჩვენ ვერ გამოგვიჩენია ის: გვეშინიან ძალად არ გა-



გვაქრისტიანონ რუსებმა, და ის დაწერილი ქვა ახლა პირქვე დამარხული აქვთ ჩვენს მოხუცებულებს ახალ მეჩითის ეზოშიო. თუმცა ადგილი ბევრმა იცის, მაგრამ ჩვენებით არავის აჩვენებენო“. იმათ გადმოცემის სინამდვილეს ვგონებ მოსე ქორენელიც ატკიცებს. მისთვის მითვისებულ გეოგრაფიაში სწერია: „წანარებს უჭირავეთ აჯანისა და ტეკანის გასავალი ხეობები და იცავენ იმათ“ (იხ. გეოგრ. მისი, 37 გვ. პატკ. გამოცემა). აი ეს სომხური „ცეკანა“ — არის ქართული „საკანი“. „საკანი“ არის სოფელი და კაკის ნაწილი. მდებარებს იქ, საცა დიდი და პატარა აზნაურის ხეობებია. წანარებიც სწორეთ. აქა და საზოგადოდ კაკის საბოქაულოში სცხოვრობდნენ, როგორც ამტკიცებს ბროსსე.

ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ კაკი უწინ უფრო ბევრად დიდი სოფელი ყოფილა, ვიდრე ეხლაა. მაშინ, მე-XII და XIII საუკუნეებში, მართლაცა-და ყოფილა ერ-მრავალი სოფელი. ბატონად ჰყოლია ვიღაცა თავადი თორღუა. ამ ხანებში მისი სახელი დარქმევია სოფელს კაკსაც. მისთვის უწოდებიათ „მინ-ველუ თორღა“ (თათრული სიტყვებია), ესე იგი „ათას კომლის მექონი თორღუა“. როცა, მეფე დავით-სოსლანი, ბითო (ბატი) ყაენმა დაიბარა, მაშინ მეფემ გამგებელად კახეთისა და ჰერეთისა თორღუა ჰანკისელი (?) დაადგინა. მეფე დარჩა მასთან დიდხანს. თორღუამ იფიქრა, ის აღარ დაბრუნდებაო: უღალატა საქართველოს ერთობას და გამოაცხადა თავისი თავი კახეთის დამოუკიდებელ მმართველად. ეწყინა დედოფალს ჯიგდა-ხათუნს და მისს მესტუმრეს ჯიქურს, რომელიც იყო ერთგული მეფისა. ამათ ორთავეს ებარათ სამეფოს მოვლა. მაგრამ მეფე დავით-სოსლანი შვიდი წლის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. ეწყინა, როცა შეიტყო, რომ თორღუამ უღალატა მეფესა და საქართველოს ერთობას. მიიწვია ის წინაშე თვისსა, მაგრამ მოლალატე შეშინდა, არ მივიდა მასთან და არა სთხოვა შენდობა. „მაშინ განზრახვითა ჯიქურისა (მეფის ვეზირისა), წარ-

ვიდა ხორნაბუჯელი (ქიზიყელი) კუპრა და მივიდა თორღუას სახლში, რათა მას მიენდოს ფიციტა მტკიცითა; ხოლო თორღუამ პრქვა ესრეთ: წარვალ ალავერდს წმ. გიორგის წინაშე. მუნ შემომფიცე და მიმინდევ მის წინაშე, და მერე წარვიდეთ ორნივე... ხოლო თორღუა გამოება ფესვსა სამოსლისა ალავერდის მთავარ-მოწამისა, და მივიდა ხორნაბუჯელი, შეპტიცა, და გამოხსნა ფესვსა სამოსლისასა; მაშინ თორღუამან უთხრა კუპრას: „რა იგი ჰყო ჩემზედა, ამან წმ. გიორგიმ გიყოს შენ, რამეთუ მარტო ვარ, და სიკვდილითა ჩემითა უმკვიდრო იქნების მამული ჩემი; ეგრეთვე უმკვიდრო ჰყოს წმიდამან ამან მთავარ-მოწამემან სახლი შენი“ . და წამოიყვანა ხორნაბუჯელმან, ფიციტა მიერ მტკიცეთა შეკრულმან, და მოიყვანა ტახხმელასა; მაგრამ შეურაცხ-ჰყო აღთქმა და ფიცი იგი დიდი: შეიპყრა თორღუა ჯიქურმან განზრახვითა დედოფლისათა, თვინიერ მეფისა ცნობისა, და წარიყვანეს კლდე-კართა, და მუნით გარდამოაგდეს“ (იხ. ქ.-ცხ. გვ. 384). ასრე მოკვდა თორღუა და უმკვიდრო იქმნა სახელი მისი. მის სიკვდილთან ერთად მოესპო კაცსაც თათრული სახელი „მინ-ველოუ-თორღა“. მაგრამ ამ თორღუას ეძახის მტკიცეიანე „პანკისელს“, რადგან იჯდო-პანკისში, და მის ახლო ეხლაც არის ციხე, რომელსაც ჰქვიან „თორღუას ციხე“. ხოლო გადმოცემა კაკელთა წინაპართა ამტკიცებს, რომ ის იყო კაკელი და არა პანკისელი. კაკში მცხოვრებნი ფოლადწვილები ამტკიცებენ, რომ ჩვენ თორღუას შთამამავალნი ვართო და გვარეულობაში ამ სახელს არა ჰკარგავენ. დღესაც გრიგოლ ფოლადაშვილის ძეს ეძახიან „თორღა“ \*) შეიძლოც არის, რომ თორღუა კაკელი ყოფილიყოს. ისტორია არ ამტკიცებს, რომ ის პანკისს დაიბადა და პანკისს მცხოვრები იყო; მხოლოდ სწერს: „ჰგონა თორღუამან

\*) სახელი თორღუა სანაირად იწერება: „თორღუა, თურღუა და თორღაღა“.

არღარა მოსვლა შეთვისა, ჟუჟუჯვა ჰანკის ციხესა, და თვისად დაიჭირა კახეთი“. ამ სიტყვებიდგან განა ცხადი არ არის, რომ წინაპირველად თორღუა სადღაცა სხვაგან იდგა და მთავარ-მართებლობდა მთელს კახეთში, მაგრამ შემდეგში უტალატა სამეფოს: აღსდგა, წავიდა და შევიდა ჰანკის ციხესა, და არღარა ჰმორჩილებდა აღარც დედოფალსა ჯიგდახათუნს, არცა მესტუმრესა ჯიქურსა (იხ. ქ.-ცხ. გვ. 384). ხალხი ამტკიცებს, რომ ის იჯდა კაკში და იყო მისი ბატონი, და ან სადა ჰქონდა თორღუას მამული, რომლის შესახებაც მწუხარებით ამბობს: „სიკვდილითა ჩემითა უმკვიდრო იქნების მამული ჩემი“-ო.

სოფ. კაკში პოლიტიკური და მოქალაქობრივი ცნოვრებაც ძლიერი ყოფილა და ქრისტიანობაც. უკანასკნელი გავრცელებულა აქ ქრისტიანობის პირველს საუკუნოებშივე. პირველი მქადაგებელი ნუხრს მაზრაში და ზაქათალის ოლქში — ჯავ-ელისენში — იყო წმ. მზციქული თადეოზ. მერმე მისი მოწაფე ელისე. ეს უკანასკნელი გამოგზავნა აქ საქადაგებლად უფლისა ძმამან იაკობმა, პირველმა იერუსალიმის ეპისკოპოზმა. ის შეამოვიდა ამ მხარეს სპარსეთით და უქადაგა კასპის ზღვის პირად მცხოვრებ მასკუტებს, იქადაგა დერბენდში და სხვაგან. აქედგან მოვიდა ნუხრს მაზრაში. თან გამოჰყენენ სამნი მოწაფენი, ახლად ქრისტეს სჯულზე მოქცეულ ხალხთა შვილთაგანნი; მაგრამ მათი ნათესავები გამოუდგნენ წმ. ელისეს, მოეწინენ, მოჰკლეს ერთი მისი მოწაფე უდინების ქვეყანაში, ხოლო ორმა კი დასტოვეს წმ. ელისე და გაჰყენენ ისევ ნათესავებს. წმ. ელისე მოვიდა „ქიშ-ნუხს“, გაავრცელა აქ ქართველთა შორის ქრისტიანობა, აღაშენა ეკლესია და შესწირა ღმერთს მსხვერპლი. აქედგან წამოვიდა, გამოიხრა კავკასიის მთის ძირას მყოფთ სოფლები: განუხი, კაკი, ყუმი, ლექართი და სხვ. და მოვიდა ზერნას (სომხურად „ზერგუნი“), საცა წარმართნი სცხოვრებდნენ. აქ ის ფილამაც მოჰკლა და ორმოში ჩააგდო (იხ. კალანკატ. გვ. 6 და 7). წმ.

6973



ელისეს შემდეგ ამ მხარეში უქადაგნია მე-III საუკუნეში, როგორც სწერს სომეხი კალანკატვაცი, გრიგორი განმანათლებელის შვილის შვილს ჭაბუკს გრიგორისა, მაგრამ ისიც მოუკლავთ დაღესტანში. ამ დროს წახურში ვილაცა მღვდელი ყოფილა იაკობი. იმას ჰყოლია შეგირდად ხაზართაგანი. ეს მღვდელიცა და მისი შეგირდიც ხაზარებს მოუკლავთ ქალაქს წახურში (სომხურად ცრი) და ვილაცა წმ. მამათა მოუსვენებიათ სამივესი გვამი და დაუსაფლავებიათ სოფელს გაკში (კაკში), და იქ აუშენებიათ მონასტერი (იხ. გვ. 30). ამათ მერმე, როგორც გვარწმუნებს მოსე ქორენელი, უქადაგნია ნუხის მაზრაში და კაკ-ელისენში მოციქულთა-სწორს, საქართველოს განმანათლებელს, წმ. ნინოს. იმის სიტყვით მას გაუვლია ეს მხარე კასპიის ზღვამდე და გაუქრისტიანებია ერი მასკუტების მიჯნამდე (იხ. ისტ. მოსე ქორენელისა, გვ. 153). შემდეგ მე-V საუკუნეში უფრო განაძლიერეს აქ ქრისტიანობა საქართველოს განმანათლებელთა ათ-ცამეტთა სირიელთა მამათა. მაგრამ სრულიად აღზოცა სოფ. კაკში და ყუმში კერპობა მე-VII და VIII საუკუნოებში მეფემ არჩილ მოწამემ. იმან აღაშენა კაკში, საყარაულოს მთაზე, ეკლესია კასრი—სამება და შესწირა დიდი მამული. ის აწ მოშლილია და დარღვეული. კაკელები ყოველ წლივ აქ ლოცულობენ აღდგომის მესამე დღეს, მაგრამ არა ისრე, როგორც უწინ უდღესასწაულნიათ. აქ იმართებოდა უწინ თემობა. ამ დღისათვის კაკელებს ჰქონიათ გაკეთებული უშველებელი ქვევარი. ის ახლაც არის. რადგან ძალიან დიდი იყო და ღვინის ამოღება უძნელდებოდათ, ამისათვის ძირში კრანი ჰქონია გაკეთებული. ის მიწაშია დაფლული, მაგრამ ქვეითი მხარე, რადგან დაბლობია ქვევრის ძირამდე, ამისათვის მას ჰქონია ძირზე მიდგმული გვირაბსავით თაღი, რომელიც აწცა არის. აქ შედიოდა მერიქიფე, ხსნიდა კრანს და ხალხს ღვინოს აძლევდა. ხოლო ამ ღვინოს აყენებდნენ თვითონ კაკელებივე. კომლად თითო კოკე ტკბილი მოჰქონდათ და ასხამ-

დნენ მასში და აყენებდნენ ღვინოს აღდგომის მესამე დღეს თემობის სწდღესასწაულოდ. დღეობაზე ყველანი ამ ღვინოს ირიგებდნენ. ამბობენ ათასი ჩაფი ღვინო ჩადიოდა შიგაო. მართლაც ძალიან დიდია ის, ეხლა ნახევრად ქვით არის ამოვსებული და ამის გამო არა სჩანს ჳრანის აღდილი; თალიც ავსილა მიწით ასე, რომ კაცი ძლივსლა შეძვრება შიგ. ჩემს ჳატარაობაში თემობა ოდნავ-ლა ბჟუტავდა და ემზადებოდა სიკვდილს. უკვე გარდაიცვალა და დასაფლავდა. ხოლო ის მამული; რომელიც კასრი-სამების ეკლესიას ეკუთვნოდა, მონათლულმა ლეკმა, ნაიბად მყოფმა ს. კაკში, აბდულლა ბეგმა, დაიჭირა ნიკოლოზ ფაჩხატიშვილის ვერაგობით; მაგრამ მონათლული ლეკიც მოკვდა და ჳირველი ცოლისაგან ნაყოლი ქალს დაჭრა, მოუნათლავს, არა ქრისტიანს, ევროპიულად განათლებულს. იმან ქმარი შეირთო მუსულმანი — ლეკი და სცხოვრებს, როგორც ამბობენ, პეტერბურღში; ხოლო მამული მიცემული აქვს იჯარაში. აწ ამ მამულს აფასებენ 5000 მანეთად. ბარაქალა! ვაშა, ვაშა! ჩვენ კაკელთა კაცობას!.. ნეტავი ფაჩხატიშვილმა რაღა ირგო? ისა, რომ გახდა წყევლის ჳატრონი, რადგან სოფელს დაუკარგა მამული.

მართლაც დამავიწყდა. ამ რვა-ცხრა წლის წინათ „კასრის“ საყდარზე იპოვნეს საფლავის ქვა, ქართულ-ხუცურად წარწერილი, მაგრამ ვერაუინ აქამდე ის ვერ წაიკითხა, რადგან ძლიერ ძველი ქართული ხუცურია. ქვა რა იქნა, არ ვიცი.

ამის გასწვრივ, ერთ ვერსის სიშორეზე, მთის ძირას — დაბლა, შიგ კაკში, ყოფილა აგებული მეორე ეკლესია წმიდა ბარბარესი. ის ახლა აღარ არის. სრულიად აღმოფხვრილა, მაგრამ, საცა ის ყოფილა, იმ ალაგს კაკელები მაინც წმ. ბარბარეს საყდარს ეძახიან. 1310 წელს აქ მღვდლოდ ყოფილა ინგილო იასე ქიტიაშვილი, რომლის შთამამავლობაც აწცა სცხოვრებს აქვე და ეკლესიაც მათსავე მამულშია. მამა იასე ძალიან ნასწავლი კაცი ყოფილა; მას ჳყოლია-12

ნასწავლი შეგირდიცა, და მამასადამე შკოლაცო 1310 წელს საქართველოს კათალიკოზმა ეფთვიმემ რომ მოიხილა კახეთის ეპარხიები, ნახა ანწუხის ეპარქია დაღესტანში, მოიხილა იქაური ეკლესიები, მერე იქიდგან გადმოვიდა და ნახა წახურის ეკლესიები, მაშინ დარწმუნდა, რომ ამ მხრის ეკლესიებს ნაკლებად აქვთ წიგნები, ძალიან შეწუხდა. წახურიდგან მობრძანდა კაკს და ნახა გიშელ-ქურმუხელი მთავარ-ეპისკოპოსი კირილე დონაური. იმას უბრძანა გადაეწერინებინა საეკლესიო და საერო წიგნები და დაერიგებინა ეკლესიებისა და შეიდგა შკოლისათვის. იმანაც უბრძანა ძღვედელს დასეჭიტიანშვილს დაესხა მას თავისი 12 შეგირდი და მათთან ერთად გადაეწერა ქახარებანი, სხვა საეკლესიო წიგნები, აგრეთვე „ქართლის ცხოვრება“ და „ცხოვრება ალბანიისა“ ესე იგი სევანისა. მან გადაწერა და გაუგზავნა უკლესიებს და შვიდ შკოლის ზედამხედველებს, და უბრძანა სწავლებად: „სჯული ქემარიტისა, ფილოსოფიისა, წმინდათა მამათა ცხოვრებისა, ქართლის ცხოვრებისა და ცხოვრებისა ალბანიისა, ესე იგი სევანისა, რომელი დასწერა პეტრე ლაგაძემ \*)“, მაგრამ ვინმე სომეხმა გარყვნა იგი და საკუთრად

\*) ვინ არის ეს პეტრე ლაგაძე, ჩვენ არ ვიცით. სუ თუ ესეც მამა ასე ჩიტიანშვილის შეგირდთაგანი თუ? ეტყობა იმას კარგად სცოდნია ალბანიის ისტორია. მაგრამ ვინ არის ის კომეხი, რომელმაც მისი ისტორია გარყვნა. სუ თუ აღარ დარჩა აღარც ერთი ეგზეგეტიკარი გაურყვნელად. იქნება ახლად დაწერილი ისტორია იმან სთხოვა წასაკითხად, მერე დაუმალა და აღარ მისცა, გარყვნა, დაამახინჯა, დაადო სომხური დამლა და გამოაცხადა საკუთარ თხზულებად. მე ვეჭვობ, რომ ეს შირი უნდა იყოს მისე კადნკატვანი. ლაგაძის ისტორიასაც ჰრქმევია ისტორია ალვანიისა და იმის ისტორიასაც ეს სახელი ეწოდება. ამასთანავე უველა სწავლულები მას გარყვნილად სცნობენ.

დაწერილად გამოაცხადა; ხოლო სომეხთაც ჩვეულებისამებრ ადვილად იწამეს მისი სიცრუე ქეშმარიტებად“. ასე სწერს ამას კირილე დონაური ერთს იმ სახარებათაგანზე, რომელიც მან გადააწერინა მღვდ. ქიტოჭვილს. (იხილე მ. ჯან. საქართ. ისტ. გვ. 205 და 206).

ინგილო ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება).

ი. ბ. მ. (თბილისი)

Handwritten text in Georgian script, mostly illegible due to fading and bleed-through from the reverse side of the page. Some words like "სიხარული" and "მეტი" are faintly visible.

1891

## ს მ გ ა ვ ი

კნენა ეკატერინე ჩიჩუასი, გურიის უკანასკნელის ჭთაერის  
ასულისა. \*)

(დასასრული)

ერთი ოსმალოში მასთან მყოფთა აზნაურთაგანი, იასე დოლიძე, რომელზედაც კიდევ გვექნება აქ ლაპარაკი, ამბობს, რომ სტამბოლს მისვლის დროს თექუსმეტის წლის ეკატერინე ჰფეშინავდა თავის ასაკის სიმრთელითაო, თუმცა მრავალი შეწუხება გარდახდა გურიითგან გამოსულის შემდგომაო; ძნელად შეეფერებოდა რამე პირის ფერსა და კანის ნარნარებასა მისსაო; უმშვენიერესნი შავნი თვალნი მისნი მოსილნი შავით წამწამებითა და შავად მშვენის წარბებითა მოასწავებდნენ რაცლას სახიერებასა და ესრეთს მაღალს კეთილშობილობასა, რომე თითქმის გზნეულ ჰყოფდნენ ვისაც შეხედავდაო; ამასთან ისეთი სიცოცხლე გამოჰლვიოდა იმ თვალებიდანაო, რომ იმათ ელვარებას ძნელად ითმენდნენო; მაღალი და მშვენიერად მოყუანილი ტანი მისი განაცხადებდა მარადის დიდებასა, რომელსაც ყოველნი უნებურად ეკეთილმოწიწებოდნენო! ასე ჰსახავს დოლიძე ეკატერინესა, სტამბოლში მისულის დროს; და არა ვჭგონებ, რომ იმისმა ახლა მნახველმა ვინმე ჰსთქუას, რომ ბევრს უმატებდეს.

გურულებს დაუნიშნეს სადგომი ესქი-სარაიაში, და ობლებს განუწყესეს მდიდარი საზრდო.

\*) იხ. „მოგზაური“ 1902 წ. № 1.



მეორეს დღეს იქ მისჯლის შემდგომ კარს მოადგათ ორი კარეტა და მაქუტაძეს განუცხადეს ყაფიჯი ფაშისაგან გამოგზავნილმა მოხელეებმა, რომ ხუანთქარი თავადს დაეთს და იმის დას მიანიჭებს წყალობასა და ნებასა ჰრთავსო, რომ წარდგენ წინაშე მისის დიდებულებისაო. ეკიპაჟები მათთვის მზათ არიანო.

მაქუტაძე მიახლოვდებოდა თავის დღესასწაულობასა, მაგრამ ეკატერინეს ხასიათი რომ წარმოუდგებოდა, ყოველივე მისი იმედი ირღვეოდა ხოლმე; დავითი დიდათ შეძრწუნებული იყო, და ამიტომ ვერც ერთი იმათგანი ვერა ჰბედავდა, რომ ჯანეცხადებინა ეკატერინესათვის ეს ამბავა, ამით უმეტესად, რომ მშშინ ლოცულობდა იგი.

დედისაგანა ჰქონდა იმას დალოცებული ღუთის-მშობლის ხატი ერთი და მამისაგან ნაწილი ძელის ქეშმარიტისა და ინახავდა იმათ, ვითა წინდა ზეციერის მფარველობისასა და ყოველს თავისუფალს დროს ილოცვიდა სრულის სარწმუნოების სიტყვებითა და სრულის ყმაწვილის გულის სიფიცხითა.

როდესაც ათავებდა თავისს ლოცუასა და სთქუჯ უკანასკნელი სიტყვები: „ყოვლად წმიდაო ღუთის-მშობელო, მეოხ-მეყავნ და დაიცუვე სული ჩემი“ — მიუბრუნდა შემავალს ძმასა და შეიტყო იმისგან ხუანთქარის ბრძანებად.

თითქო მეხო ეცაო, ისე შეძრწა ეკატერინე, — „დავიღუპებით ძმაო!“ — უთხრა დავითსა და მიიკრა მორთოლარესა გულსა.

ერთბამად გაჰკრა ფიქრმა და განიზრახა ცუდმოართულობით დაბნელება როგორმე თავის მშტანერებისა: პირზედ წაისვა რაღაც ცუდი და დრკუ ფერ-უმარილი; შეიმოსა ფედ ცუდად; და თავი დაიხურა ყოვლის წესიერების წინააღმდეგად და ამ გჯარად გაჰყვა თავის ძმას სულთანთან. პირველის ფეხის შედგმითგანვე გასასტერებელის სიმდიდრით დაბნელებულმა დავითმა ვერა გაშინჯა-რა სერალში უკანას-

კნელს ოთახამდე; ეკატერინელა მივიდოდა ცუდით და უსიამოვნო სიარულითა მიწაზედ თვალდაშვებული.

— „ოჰ, რა ყმაწვილი ყოფილა, ჰსთქუა სულთანმა და ჭითხედა, თავზედ კელის გადამსმელმან; ნუ გეშინიან პატარა გურიელო! მე გპირდები ჩემს მოწყალებასა. გზას ხომ არ შეუწყუხებებიხარ? — შენი და როგორ არის? —“ ჰკითხავდა დავითს ხვანთქარი და მიჰხედავდა ხოლმე ეკატერინეს, მაგრამ ეტყობოდა უკმაყოფილობა.

შემდგომ თავის საკუთარის ხელით უბოძა დავითს ხილისათვის რავდენიმე ქესა რუბი, წყრილი ოქროები და კელზედ აკოცინა; ეს იყო ნიშანი მოწყალებითის დათხოვნისა. შემდგომ ყმაწვილები გამოიყუანეს. სულთანმა ჩააბარა ისინი ერთს თავისს დაახლოებულთაგანს სერასკირს ხოსროფაშას. ეკატერინე თავის გუნებაში დღესასწაულობდა მცბიერობასა და აღარა მიშავსრაო ამბობდა.

ტრაპეზონელს ოსმან-ფაშას რისხუა ელოდა, ამიტომ რომ გურული ქალი ხვანთქარს ცუდად ეჩვენა; მაგრამ მაინც ბრძანა ჯერ დარწმუნებაჲ, — თუ რაოდენად მართალი იყო მოხსენება მისი.

ამგვარის ბრძანების უადვილესად აღსრულებისათვის ეკატერინე მეორეს დღესვე გადაიყუანეს ხოსრო-ფაშის სახლში და ჩააბარეს დმის პირველის ცოლის მფარველობას. ეკატერინეს რასაკვირველია მაშინვე გამოაჩნდა სიცრუე და ამტკიცეს, რომ ფედ მშვენიერი არისო და ყოველით ღირს-შემამკობელი სერალისაო. ხოსრო-ფაშის ცოლი შეაგულეს, რომ მოიპოვოს როგორმე ნდობა და სიყუარული ეკატერინესი; აღუთქუას უთვალავი სიმდიდრე, რომლისაც მფლობელი იქმნება ხვანთქარის ჰარამხანაში; დაარწმუნოს, რომა უღემთა კანონების ძალით უეჭველად აღიარებენ მას ხვანთქარის პირველ საყუარელ მეუღლედ, თუ მიიღებს მაჰმადიანობას და მაშინ კელში ექნება ყოველივე საშუალოდა, რომ არა თუ ამოუგოს თავის ძმას წარგებული სამფლობელო; არამედ

მოუპოოსცა პირველ ჩინებულთ დიდკაცობა ოტტომანის იმპერიისა. შემაკეთებელს უგზავნიდნენ სასახლითგან მრავალს ფედ ძვირფასს ნივთებსა ეკატერინესთვის მისანიჭებელად თავის სიტყვების სიმართლის დამტკიცებისათვის, მაგრამ ეკატერინე ყოველსავე ცივად უარჰყოფდა და მხოლოდ ილოცვიდა ლჷთის-მშობლის ხატის წინაშე. ამას არას მიჰხედეს და ერთს კვირას უკან გადაიყუანეს სერაღში; დავითსა და ყოველთა მასთან მხლებელთა დაუნიშნეს სადგომი სხტას მოშორებულს ადგილს, ისე რომ სრულიად მოსპეს ეკატერინესა და მათ შორის მისულა-მოსულაჲ. ერთხელ მოუტანეს დაფიქსა ნაწილი ძელის ქეშმარიტისა, რომელსაც ეკატერინე გულითგან არას დროს არ აიხსნიდა ხოლმე, და უთხრეს, რომ იმისთვის ეს საჭირო აღარ არისო. ამ ამბავმა სულყოველნი გააკვირვა. მაჰუტაძე სრულებით ვერას მიმხვდარიყო. სხტანი ჰფიქრობდნენ, რომ იქნება ეკატერინე გათათრდაჲ. გინც უფრო კარგად იცნობდა იმას, და სხტათა შორის მაჰუტაძე და დოლიძე თავ-თავისთვის ჰფიქრობდნენ, იქნება მოკუტა ეკატერინეო, ან იქნება..... მაგრამ ეშინოდათ თავ-თავის ფიქრისა, სხტას ვერავის უცხადებდნენ გულის პასუხსა, და იფანტებოდნენ სხტა-და-სხტას, უფრო და უფრო ბნელნი ფიქრებითა.—ორს დღეს უკან ნაწილი ისევ შოითხოვეს და ეს სულყველას იამათ, მაგრამ რათ იამათ, არავინ არ იცოდა. მრთელს ერთს კვირას ამის მეტი ამბავი არა ჰსცოდნიათრა. ერთს კვირას უკან კი ცოტად რაოდენადმდე მოჰსულიერდნენ გურულები.

—„ვინ არის თქუტანგანი იესე დოლიძე?—კითხულობდა ყიზლარ-ალის მოხელე კაცი.—შენ შეგიძლიან ჰნახო შენი ბატონის შვილიო, —უთხრა დასახელებულსა; თუ გინდა ცოტა გურულო საქმელებიც მიართვიო. ნება გაქუს, რომ თითქმის ღვინოც მიუტანოო“ და დოლიძე მიიყუანეს; სერაღში ფარულის გზით. დოლიძე იყო უერთგულესი ყმა ეკატერინესი და ფეხზედ ველარ იდგა სიხარულისაგან. მაგ-

რამ როდესაც დაანახეს ეკატერინეს სადგომი და როდესაც იქითგან გამოვიდა რაღაც აჩრდილი და ჰკითხა ქართულის ენით: „დოლიძე, ერთი კვირაა არა მიქამიარაო?!“ დოლიძე გაშეშდა განცვიფრებისაგან.

— „ბატონიშვილი სადაა ჩემი?— ჰკითხა მან.

— კი ველარა მცნობ, დოლიძე?

მე ვიცან მხოლოდ ხმითაო, — ამბობს ეხლა თვითონ ეს დოლიძე. — გამხდარიყო მკუდარსავით და ემსგავსებოდა საიქიოს რასმე აჩრდილსა. ძნელად დასაჯერებელია, რომ სულსა შეეძლებოდეს ყოფნაჲ ისეთს სხეულში; უფრო ძნელად დასაჯერებელია, რომ ერთს კვირაზედ ასეთმა საკვირველმა მშვენიერებამ მიიღოს სახე საშინელებისა.

— „დოლიძე! გურული ჰური არ მოგიტანია?— ჰკითხავდა ქალი, და გულსავესემა სიბრაღულითა და მწუხარებითა დოლიძემ მიართვა მცირე რაჲმე გურული საქმელი და ღვინო.

— „მარგალიტი თავზედ მაყარეს, — ეუბნებოდა მას შემდგომ ეკატერინე; — დამიბნელეს თვალები ოქროთი და აღმასითა; მაგრამ ჩემი ძელი ქეშმარიტი კი მომპარეს ოჰ, რა საშინელად გიტანჯებოდო მაშინ!.. ორს დღეს სრულეზედ გადავირიე: როგორ მომამბრუნეს არ ვიცი. — კი გავჰკეთდი აქ მე, განა იესე?.. საშიშრად გავჰკეთდი. ძალიანაც კი ვიბარხე: არც ერთი ლუკმა ჰური, არც ერთი წვეთი წყალი არ ჩასულა აქ ჩემს პირში. როგორ მივიკარებდი აქაურს ბოროტებასა... ოჰ! რა საშინელია ხუანთქარი, იესე; რა საშინელად მძულს მე ისა, რომ იცოდო... ძალად უნდა... უფალო შემიწყალე, უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე!.. კი, უფლება მრავალი აქჲს, მაგრამ მე უფრო ძლიერი ხარა ვარ იმაზე? ვიდრემდის უფალი ჩემთანა არს? იასუ? რას იტყვი შენ?... ოჰ, როგორ მიხარია, რომ შენის ნახვის ნება მომცეს მე, რათ უნდა ვიყო?... მარამ მომიტევე, ღმერთო! ვერ შეისმენ შენ უფალო დრტვინვასა ჩემსა! იყავნ ნება შენი!...“

მსმენელი ამ გვარის წყნარის, გაგძელებულის და გაუწყობელის ლაპარაკისა, დოლიძე თუმცა დიდად ჰსცდილობდა, მაგრამ ვერ იძლებდა გულამოჯდომით ტირილის დამალვასა.

„მე ვარ შვილი მამიასი და სოფიოსი, და წარვდგებიცა მათ წინაშე მათ ღირსად შვილად, ეგრეთაღვე ქრისტიანედ, ვითა იგინი! იესე, საყუარელო ჩემო, ძმაო ჩემო იესე, ილოცე ჩემთვის, დიდათ ილოცე; ჩემს ძმასაც უთხარ, რომ იმანაც ილოცოს, სუყველას უთხარ, რომ ილოცონ ჩემთვის, ხომ ჰხედავ მტერთა შორის ვარ!“

მწუხარებით მოკუდინებული დოლიძე, როდესაც მობრუნდა სერალიდამ, და უანბო დავითს ნახულო, აფრქვევდა ერთად იმასთან მრავალს მდულარეს ცრემლსა. შემდგომ უშვებდნენ ხოლმე იმას ჭერალში დღითი-დღე. გურულმა საქმელებმა მოასულიერეს რაოდენადმდე ეკატერინე. ბრუჯის თათქსა, როდესაც ოსმალთათვის დღე ვრს ღამე, და ღამე დღე, ის ნახავდა ხოლმე თავის ბატონის შვილს ყოველს დღისა. და თუმცა აღუთქვამდნენ დოლიძეს მრავალს საუნჯესა, ერთისა ოდენ რჩევისათვის, რომელ ეკატერინემ აღასრულოს ნება ხუანთქრისა, მაგრამ ის ანუგეშებდა ხოლმე მარად ღუთის სასოებითა, და დაჯილდებებითა სააქაოს მოთმინებისათვის. საიქიოს სასუფეველსა შა.

„იფიქრე ჩემი უბედურება, — ეტყოდა ერთხელ ეკატერინე დოლიძეს, — ჩემმა თანააღზრდილმა, — არ ვიტყვი მისს დატევებულს სახელს, — ჩემმა საყუარელმა მოახლემ მიიღო მაჰმადიანობა, და საძაგელი მგმობელი ჰსჯულისა მეც მიჩვედა ტკბილის იესოს გმობასა. საშინელია იესე თუ არა?.. ოჰ! ეს უთუოდ გამაგიჟებს, მე. მე გავაგდე და იმათ კი დიდს პატივში ჰყავთ! მხოლოდ ნუგეშად დამრჩა მე ჩემი მუნჯი მუახლე, მაგრამ უხმო რამ მესაუბრე, ვითა ჭაფლავი.“

„გუშინ კიდევ იყო ჩემთან ხუანთქარი, — იტყოდა მეორედ ეკატერინე: — როგორც უწინ, ისე გუშინაც მიაღერსებო

და და მაშინებდაცა. — „რო მოვინათლო არც მაშინ შემირთავო, ჩემო ჰურიავო, — მკითხა მე. — ოჰ! მაშინ მე ვიქმნები პირველი მხევალი თქვნი. — თუ არა? — კიდევ მკითხა მან: — თუ არა, ჩემ მაგიერ წილ-უყოფ მხოლოდ მკუდარს სხეულს ვუბასუხე მე; ხალო მან დამიქნია თავი სწინლად და გავიდა. — ოჰ! რა საშინელია, იესევ!

ორუჯის შემდგომ დოლიძეს აღუკრძალეს სეჩალში სიარული. მოისპო მეორედ ყოველი მიმალულა ეკატერინესთან; მოისპო ყოველი ამბავი მისი, — მაგრამ ახლა ერთის კუჩრის მაგიერ, იმის ამბავის ჟელოდინარობამ ფასწია რაოდენსამე თათქს. ერთხელ დოლიძეს ვილამა მისცა დაბეჭდილი წერილი, და მყისვე მოეფარა. ეკატერინე ჰსწერდა რუსის ელჩს და ჰსთხოვდა შემწეობას, ვითარცა რუსეთის ღენერლის ქალისათვის. მაგრამ დოლიძეს სრულებით არა ჰქონდა არა ვითარი დონისძიება ამ წიგნის მიტანისა ვისთანაც ყო მიწერილი, და დასწყეს.

ეს იყო 1831 წლის ნახევარში იმავე წლის 9-ს ნოემბერს საქართველოს მთავარ-მართებლად ყოფილმა ღენერალადუტანტმა ბარონ როზენმა ჰსთხოვა უფალს სამხედროს მიწნსტრს შუამდგომელობა კელმწიფე იმპერატორის წინაშე, რათა მიეტევოს დაწაშაულობა ყოველთა სამხლუარს გარეთ გასულთა გურულთა და ნება მიეცეს ვითარცა მათ, ეგრეთვე მთავრის შეილთაცა მშობელს ქვეყანაში დაბრუნებაზედ; და უმაღლესი ბძანება დახედ გამოვიდა 1832 წლის იანვარში.

მაშინ მოსთხოვა ბარონმა როზენმა ტრაპიზონელს ბალიოზს ცავალერს გურუსის ცნობად, თუ რას მდგომარეობაში იმყოფებიან გურულნი, და მიიღო რა მისგან პასუხი, ჰსთხოვა გარეგანთა საქმეთა მიწნსტრს ღრაფს ნესელროდეს, რომ კონსტანტინეპოლელს ჩუცნს ელჩს ბუტენეს ათხოვინოს სულთნისათვის ნებადართვაჲ, გურიელების გამოშვებაზედ ჩუცნის უამდურებისაკენ.

ამ მიზეზისა თუ სხვისა რისამე საქმისა გამო შემდგომ რადენისამე თთვისა, როს მეორედ განაშორეს ეკატერინესა ყოველი თანამემამულე მისი, დავით გურიელი დაიბარა სულთანმა და სხუათა მოწყალებათა შორის ჰკითხა: „გვიამებაა, რომ შენი და დაგიბრუნო?“ — რათგანც დავითმა სიხარულისაგან ხტანთქარს პასუხი ამისი ვეღარ მოუხერხა, ამისთვის ჰკითხა ესევე შემდგომ ხოსრო-ფაშამაც. გავიდა კიდევ რავდენიმე თთჳ და ეკატერინეს ამბავი კიდევ არა იცოდნენ-რა. დავითმა ბოლოს დროს მხნეობით დაიწყო თხოვნა, რომ აღუსრულონ დაპირებულად და ნება მისცენ კონსტანტინე-პოლითგან გასტლისა, რათგანც გურულნი იქ ხშირად ავად-მყოფობდნენ და თვით დავითიცა. უკანასკნელ შეიტყო, რომ ნებას აძლევდნენ ტრაპეზონში გასულისას და ეკატერინესაც თან ატანენ. სიხარულით აღარა გაეგებოდათ-რა, მეტადრე დავითს და დოლიძეს. მაჰუტაძეს ჰსტანჯავდა ფიქრი, რომ ასე ცუდად ჰსთავდებოდა ყოველი საქმე მისი, რომლისაც წარმოებაში კელ-მძღუანველობდა იგი თვისის მფლობელის სახლის ერთგულობითა და განუსაზღვრებელითა მით სურვილითა, რათა აღედგინა დაცემულნი მემკვიდრის სიმართლენი მისს მემკვიდრეობაზედ. გურულნი მზად იყვნენ უკუტ გასასტლელად. გამოგზავნილმა მოხელემ შეატყობინა მათ, რომ ეკატერინეს ერთს საათს უკან მოიყუანენო. პატარა ხანს უკან კარზედ მომდგარის ეკიპაჟითგან გამოვიდა ეკატერინე: შესდგა იქვე, მხეცებრ მიიხედა უკან და მეყუხეულად შევარდა სახლში: არცა ხმა ძმასა, არცა სალამი სხუას ვისმე.

— „ვინ ხარ? — შესძახა ძმასა?

— საყუარელო დეო! ძმა ვარ შენი! დავითი ვარ!

— „დავითი ხარ?... ხტანთქარიც დავითი არ არი?... არა, ავაზაკო! ჰა, ჰა, ჰა!... ოლოლო, ოლოლო!... ჩემ მაგიერად წიად უყოფ შენ მხოლოდ მეტადარსა სხეულსა... ჰაჰ... გესმის?... გაიგონე თუ ვერა?...

საშინელებამ თავზარი დასცა სულყველასა. სახე უბე-

დურისა უსახო ქმნილიყო სულიერის ტანჯვისაგან. გურულნი გარს ეხვივნენ მას ვა მკუდარნი.

„წარვედინ, წარვედინ, ხუანთქართან... მე ქრისტიანე ვარ, ჰო, გესმისთ, თქუცნ ეშმაკნო! არ მსურს, არ დავენებდები ცოცხალი... ჰააა? თავს გავიგლეჯ უსათუოდ!“...

ამ სიტყუასთან გაიგლიჯა გულისპირი, მოიწყვიტა ნაწილი და შესტყორცნა უბედურთა მოყმეთა თვისთა... „განჰქრით ძალითა წმიდისა ამის ძელისათა!... ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!...“

საშინელ იყო ეკატირინე! დავით ჰბლაოდა შიშისაგან, მაჭუტაძე იმას უვლიდა. ეკატირინე დასაბმელად იყო გაგიყვებული და შეჰკრეს იგი.

უბედური ობლები მივიდნენ ტრაპეზონის საფაშოს და დადგნენ პატარა ქალაქს პლატანაში, საიდამაც არის ტრაპეზონამდინ ორი საათის სავალი. რავდენსამე ხანს უკან ოსმანთაშას მოუვიდა ბრძანება, რომ ნება მისცეს მათ სარუსოს ქვეყანაში განსტლისა. იქაურმა ბალიოზმა გერსიმ ჩასხა ანგლიის სირენა გემში დავითი, უბედური და მისი და ყოველნი თან მხლენი იმათნი, რომელთა შორის იყვნენ: 7 თავადი, 16 აზნაური, 1 არხიმანდრიტი, 1 მღუდელი, 40 მსახური კაცი, 1 თავადის ქალი, 3 აზნაურის ქალი და 4 მოახლე და ყოველნი ესენი გაგზავნა შემოქმედის ციხეში და მივიდნენ იქა 1832 წლის 15 ენკენისთთჳს. როდესაც შეასრულეს იქ კარანტინის ვადა, ეკატირინე დაჰსტევეს ოზურგეთს ნათესავებთან, ბოლო დავით და თავადი მაჭუტაძე, რომელიც ამბობდა, რომ რაც უნდა დამმართონ ჩემს ბატონისშვილს არ მოვშორდებო, გამოგზავნეს ტფილისში, და მოვიდნენ აქა 30 ღვინობისთთჳს.

ყოლმწიფე იმპერატორმან ღენერალ-ადუტანტის ბარონ როზენისაგან ამაზედ მოხსენების მიმღებმან, 3-ს თებერვალს 1833 წელსა უმაღლესად ჰბრძანა: რათა „მცირე წლოვანი



„დავით განწესებულ იქმნეს აღსაზრდელად პაეების კორპუს-  
 „ში, და ეძლეოდეს საკელმწიფოს ხაზინითგან სიკუდილადმდე  
 „პენსია ხუთასი თუმანი თეთრი ფული პირობითა ამით, რო-  
 „მელ ვიდრემდის სამსახურში გამოვიდოდეს კორპუსიდან,  
 „პენსია ესე შეიტანებოდეს ბანკში სარგებლის მოსამატებე-  
 „ლად; — დასა მისსა ნება აქუნდეს ყოფნად ნათესავთათანა,  
 „და ერთჟამად მიეცეს მას პირველ კელგასამართავად სამასი  
 „თუმანი თეთრი ფული და დაენიშნოს სიკუდილადმდე სა-  
 „ცხოვრებელად წელიწადში ას-ორმოცდა-ათი თუმანი თეთრი  
 „ფული; დაენიშნოსთ აგრეთვე ადგილობითის მთავრობის  
 „მიმხედველობით ხაზინიდან ჯამაგირი სხუათაცა დავითთან  
 „მხლებელთა“. ჯამაგირი ესე შემდგომად დაუნიშნეს ყო-  
 ველთავე იასე დოლიძეს გარდა, რომელიც იქნება ამიტომ  
 დარჩა უჯამაგიროდ, რომ არ იყო დიდის გვარისაგანი, ან  
 უფრო მომატებული დალატობის იქტნეულობა მიიზიდა მმარ-  
 თებლობისაგან თავის თავზედ, რათგანც უფრო უმეტესად  
 ერთგული იყო მთავრის სახლისა.

1833 წლის მაისში დავით გაგზავნეს პეტერბურღს, გა-  
 ნაწესეს მუნ პაეების კორპუსში. 1838 გამოუშვეს იქითგან  
 აფიკრად და შემდგომად მოჰკლეს 1839 დაღესტანში, სადაც  
 იმყოფებოდა ახულგოს აღების დროსა.

თავადი მაქუტაძე, რომელსაც ოსმალეთში ლტოლვამდინ  
 ჰქონდა მაიორობის ჩინი, იყო 1838 ექსპედიციაში აფხაზეთს,  
 წინასმძღურობდა გურიის მილიციას; ნამსახურობისათვის მიი-  
 ღო ჩინი პოდპოლკოვნიკობისა და იმყოფება გურიის დროეუ  
 ბითს სასამართლოში წევრად.

კნენა ეკატერინე მოიყუანეს ტფილისში მოსარჩენელად;  
 აქიმების რჩევითა, და სხუათა შორის პრიბილის რჩევითა,  
 რომელთანაც რადენსამე თთუცს იყო იგი უსარგებლოდ  
 მიათხოვეს 1834-ში მეგრელს თავადს ლევან ჩიჩუსს, რომელ-  
 საც არ ეკარებდა ეკატერინე, და რომელიც ქორწინებითგან  
 მცირეს ჟამს შემდგომ გარდაიცვალა; მასუკან ეკატერინე

წაიყუანა ნათესავემა მისმა მენგრელის მფლობელის მეუღლემ მთავრინა მართა ზურაბის ასულმან საზრუნველად. მუნ ჰსცხოვრებდა იგი ამ წლის მაისამდინ. იმერეთის დედოფლის მარიაშის სურვილისამებრ, მაისში მოიყუანეს იგი ტფილისს; და თიბათთუცში გაგზავნეს პეტერბურღშია, სადაც განუწყესებენ განსაკუთრებით აპეკასა და იცხოვრებს თავის დასტერეზიასთან, რომელიც ერთი-ღა არის ცოცხალი სამთა გაგზავნილთა 1830-ში დათაგან. ეკატერინეს თან გაჰყუანენ იქა მარად ერთგულნი მისნი აზნაური იესე დოლიძე და მუნჯი მოახლე.

ამ ამბავის დამწერს ჩონოგნიკსა მარში და თიბათთუცში ჰქონდა შემთხუცვა და ჰნახა ტფილისში რაოდენჯერმე უბედური კნენია ეკატერინე ჩიჩუა: ტანი და სახე მისი მოაგონებენ ადამიანს განვლილს დიდებასა და მალალს კეთილშობილებასა; პირველი მაზედ შეხედულობა აწარმოებს თქუცნ შორის სიბრძლოლისა რასმე გრძნობასა: იგი მაღალრავ გამხდარი, საკვირველად ფერმკრთალი და უგრძნობელი; ცხვირი მისი თითქო ძალიან დიდიაო, ამიტომ რომ პირის სახეს სრულებით აღარა აქუს თავისი სავსება. შავთა წარბთა, ოდესმე მშვენიერთა, მიუღიათ ახლა რაღაც გასწორებულნი მდგომარეობა. იქნება იმ მძიმეთა და ძნელთა ფიქრთაგან, რომელიც ფედ ძვირად ჰშორდებიან შუბლსა მისსა; დიდნი შავნი თვალნი განაცხადებენ ახლა ფედ მძიმესა მელანხოლიას, ესე იგი ღრმად დაფიქრებასა და სრულებითს ყურადღების განშორებასა ყოვლთსა მრს საგნისაგან, რასაცა ჰხედავს ანუ რასაცა ისმენს; რა ჰსწარმოებს გარეშე მისსა, არ იცის, მაგრამ ჰხშირად მოჰხდება ხოლომე, რომ ფიქრი მისი მიიღებს თავის წესიერებასა, მოვა ხოლომე აზრზედ, შეიძლებს შემეცნებას და მიყოლებით ლაპარაკსა; მაშინ თვალნი მისნი, უმიზნოვალს კეთილობისა გამოაცხადებელნი აფრქვევენ სიცოცხლისა მის

ელვარებასა, რომლითაც ყოფილა იგი ოდესმე აღსავსე და ძალსა მის ხასიათისასა, რომელიც დაუჩაგრავთ და შეუმუსრავთ მეტის-მეტათ მძიმეთა განსაცდელთა.—გახელებული სიმძაფრე აღარ მოეველინება ხოლმე მას: დაემართება ოდესმე ისტერიკაჲ და ხანდახან იცინის უმიზეზოდ ანუ მსწრაფლ შეკრთება უმიზეზოდვე თითქო მნახავი მიუწდომელისა რისმე მოჩუპნებისა.

დაწერილ-არს ტფილისს 30 ივნისს 1840 წელსა.



# ქართული სიტყვიერების ისტორია:

წიგნი 1, 2 და 3 ა. ხახანაშვილისა. \*)

Очерки по истории грузинской словесности: выпуски 1, 2 и 3

А. Хаханова.

არა მგონია საქართველოს შესწავლისათვის ისტორიულად, კულტურულად და ლიტერატურულად ვინმეს იმდენი შრომა მიუძღოდეს, რამდენიც დიდად პატივცემულს ბ. ალექსანდრე ხახანაშვილს მიუძღვის.

\*) პატივცემული თანამშრომელი ჩვენი, ბ-ნი ბ. კ., ავტორი წერილისა „ისტორიის შესავალი“, რომელიც „მოგზაურის“ ამ წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა, თავისი ამ მეორე წერილით სტდილობს საქმით განახორციელოს თავისი შეხედულება ისტორიასზე.

— „დღეს განხილვა და გამოკვლევა ისტორიულად, —სამართლიანად შენიშნავს ავტორი, —ნიშნავს შეცნობების სხივის ჩაშუქებას თვითონ ხალხის გულის საღრმეში, განათებას და გაშუქებას ხალხის ცხოვრებისა“... „ისტორიის უმთავრესი დანიშნულებაა, — განაგრძობს ავტორი, —საზოგადოების, ხალხის ცხოვრების გათვალისწინებაა“... „დღევანდელ ისტორიკოსებს იმდენად არ აინტერესებს ხალხის პოლიტიკური ცხოვრებაო, მისი წარგებანი ფორმა, რამდენადაც შინაგანი ცხოვრება. პროგრმატიული ისტორია ადგილს უთმობს შინაგანს ანუ კულტურულს ისტორიასო“... „საქართველოს კულტურულის ისტორიის შესწავლაო, —განაგრძობს ავტორი, —ანის შესწავლა ქართველის ერის კულტურულის მოძრაობისა, როგორც

მთელი მისი სიცოცხლე წერაა, მთელი მისი ცხოვრება შრომაა, შრომა გამუდმებული, დაუღალავი და ფრიად ნაყოფიერი. რომელი პერიოდული გამოცემა გინდა აიღეთ (რუსული, გინდა ქართული), ყოველგან და თითქმის ყოველთვის თქვენ შეხვდებით ბ. ხახანაშვილის წერილს, რომელიც შეეხება მეცნიერების ამა თუ იმ დარგს, რომელიც სხვის ჰფენს ამა თუ იმ კითხვას, რომელიც აშუქებს და ანათებს ჩვენის ქვეყნის ბნელეთით მოცულს წარსულს და მით აწმყოსა და მომავალს გვითვალისწინებს. კითხულობთ მის წერილებს და გიკვირსთ: ნუ თუ შესაძლებელია ამდენი სწეროს ერთმა კაცმა? თქვენ ხვდებით მის წერილებს როგორც დემოკრატიულს, პროგრესიულს და ლიბერალურს, აგრეთვე კონსერვატიულს და რეაქციონურს გამოცემებშიაც. ეს იმისთვის, რომ ის მაღლა სდგას არა მარტო პირადულ ინტერესებზე, არამედ პარტიულზედაც. ეს იმისთვის, რომ მას ყველაფერზე მეტად ჭეშმარიტება სწამს; თუმცა პლატონი ძლიერ კარგი მეგობარია მისი, მაგრამ უკეთესი მისი მეგობარი — მაინც ჭეშმარიტებაა. უექველად ბ. ხახანაშვილის ბიოგრაფიის დამწერი შემდეგი სიტყვებით დაასრულებს მას: ალექსანდრე ხა-

წასხულის, ისე თანამედროისა, აწმყოსი, რომლის შემდეგაც ადვილი ხდება მომავლის გათვალისწინება“.

რედაქციის სიამოვნებით ეგებება ბ-ნ ბ. კ.—ის მოხსენებულ მიმართულებით შრომას. ამ მიზნით იგი ჟურ-ჟურობით გვზიარებს უფრო დაწვრილებით გაგვაწვოს ჰატივრემულის ა. ხახანაშვილის მოხსენებულ შრომით. რედ.

ხანაშვილი განხორციელებსა ჭეშმარიტების, მუდმივის, მეტად ნაყოფიერას შრომის, შრომის და კიდევ შრომის.

ბ. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია, ეს ის კაპიტალური შრომაა, რომელიც სხვის ჰფენს საქართველოს წარსულს და აცნობს მას ევროპასა და რუსეთს. საქართველო უცნობი იყო და დღესაც არის არა მარტო ევროპისთვის, არამედ რუსეთისთვისაც კი. თუმცა ბროსეს ნაწარმოებს საქართველოს შესახებ კითხულობდნენ, მაგრამ საქმე მარტო ამ კითხვით ბოლოვდებოდა. დღეს ხახანაშვილის შრომა აცნობს ევროპასა და რუსეთს ჩვენის ქვეყნის კულტურულ მოძრაობას, ჩვენის ქვეყნის გონებრივ ნაწარმოებთ. აქედან ტყობილობენ, რომ საქართველოსაც უცხოვრია, მასაც გამოუცდია ის ისტორიული და გონებრივი მოძრაობანი, რომელნიც განიცადეს ევროპის და აზიის კულტუროსან ხალხებმა; იგებენ, რომ ქართველობასაც მიუბაძავს, უთარგმნია, უსესხნია სხვა ისტორიულ ხალხთა გონებრივ ნაწარმოებთაგან; მასაც უთხზავს, უწერია და თავისი წვლილი, ორიგინალური აზრი შეუტანია საკაცობრიო, მსოფლიო აზრთა წარმატებაში; ბ. ა. ხახანაშვილის წყალობით დღეს საქართველოც გაიძახის: მეცნაერნო და მეკლუგარნო, თქვენ თუ არ მომაპყრებთ ეურადლებას, მე თვითონ გეცდებო თქვენის ეურადლების დირსი გავხდეთ.

როგორც თითონ ავტორიც ამბობს პირველ წიგნში, მთელი ეს შრომა გამოვა ოთხ ტომად, პირვე-

ლი შეიცავს ხალხურ ეპოსის ნაწარმოებს, მეორე წიგნში მოთავსებულია წერილობითი ისტორია ქართული სიტყვიერებისა მე-XIII საუკუნემდე, ე. ი. საქართველოს ლიტერატურის ოქროს საუკუნემდე. მესამე წიგნში მოთავსებულია ძველი ისტორიული საბუთები და ნაშთები მე-XIII – XVIII საუკუნემდე და მეოთხე წიგნში შევა ახალის დროის ლიტერატურა, ე. ი. როცა საქართველოში რუსეთის ბატონობა დაიპყარდა.

პირველი წიგნი იყოფა ორ დიდ ნაწილად: ხალხურ და მწიგნობრულ სიტყვიერებად. პირველს ნაწილში შედიან: ჩვეულებანი და სიმღერები, საგმირო სიმღერები, ისტორიული სიმღერები, ლირიკული სიმღერები, ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები, შელოცვები. მეორეში: აპოკრიფები, სასულიერო ლექსები, ლეგენდები, ისტორიული ლეგენდები, ცრუმორწმუნეობის და მკითხაობა-მარჩიელობის წიგნები, წმიდანების ცხოვრება.

რა კი საქართველომ ქრისტიანული სარწმუნოება მიიღო, ამით დაედო საფუძველი ჩვენში ქრისტიანულ კულტურას და განათლებას. აქედან იწყება დანგრევა და დამსხვრევა ძველის კერპებისა, დაღეწვა ყველაფრის იმის, რასაც კი კერპთ-თაყვანისმცემლობის დაღი აზის; სამაგიეროდ ჩაისახა და აღორძინდა ყველაფერი ახალი, რაიც ხელს უწყობდა ქრისტიანულ ზნეობის განვითარებას და გავრცელებას. აქ ჩვენი განვითარება და წინ სვლა ბიზანტიის გავლენის ქვეშ ხდება, იმ ბიზანტიის, რომელშიაც

მოგროვდა ძველი საბერძნეთის და რომის კლასიკური ცივილიზაცია და ახალი ქრისტიანული მცნებანი. სხვისი გავლენის ქვეშ ყოფნა არ არის სასიამოვნო, მაგრამ თუ სხვისი ზე-გავლენით შენ ვითარდები და წინ მიდიხარ, როცა შენ ძალა-უნებურად უვარდები სხვას კალთაში იმისთვის, რომ შეიძინო და შეითვისო მისგან ყველაფერი კარგი, — ამ გვარი სხვის ხელში ყოფნა თუმცა მძიმე, მაგრამ სასიამოვნოა. ბიზანტიის გავლენის ქვეშ ყოფნა მაშინ ნიშნავდა ჭეშმარიტების ქვეშ ყოფნას ქართველებისთვის. აქ გაჩაღდა საქრისტიანო თუ საერო წიგნების თარგმნა და თხზვა.

„საბერძნეთის და საქართველოს ლიტერატურის შემაერთებელი ხიდი იყვნენ ივერიის მონასტრები და მათთან დაარსებული სკოლები პალესტინაში, სირიაში და ათონში.

„ანატოლიები, ანუ კრებული სასულიერო და საერო მწერლების თხზულებათა სხვა-და-სხვა საგნებზე თარგმნეს ქართულად მე-XIII საუკუნეში, რომელთა საშუალებით შესაძლებელი ხდება გაცნობა ძველი ფილოსოფოსების, ორატორების, ისტორიკოსების და პოეტებისა... ამ გვარად საქართველო ხუთის საუკუნის განმავლობაში მისის გაქრისტიანების შემდეგ ხარბად დაეწაფა ბიზანტიას განათლებას, არა მარტო სასულიეროს, არამედ საერო ლიტერატურასაც, რომელიც ძველ, კლასიკურ მწერლებზე გვიანდერძეს ჩვენ. \*)

\*) კვ. 146, 155, წიგნა ზიჰველი.



მეორე წიგნში განხილულია ძველი ლიტერატურა მე-XIII საუკუნის დასასრულამდე. ქართველების სულიერი აღორძინება მათი გაქრისტიანებიდგან იწყება.

V—XII საუკუნეები ერთად ერთი უბრწყინვალესი დროა საქართველოს ისტორიაში. ქართველობას თუ კი რაიმე ღვაწლი მიუძღვის საკაცობრიო წარმატების მსვლელობაში, უთუოდ ეს შვიდასი წელი უნდა ჩაითვალოს. დაახლოება და დამეგობრება ბიზანტიასთან, შეთვისება მისის როგორც საეკლესიო, აგრეთვე საერო ცივილიზაციისა, ძღვევა-მოსილი ბრძოლა ქართველ მეფეთა, ბრწყინვალე ოქროს საუკუნე,--აი ყველა ის ღვთის მადლი, რითაც ამაყობს დღეს საქართველო და რამაც ხელი შეუწყო მის ჩარევას მსოფლიო ისტორიულ ფერხულში.

მაგრამ აღმართს დაღმართი მოსდევს, დარს—ავდარი, და საქართველოს ბრწყინვალე წარსულსაც ბურუსი ეფინება. საქართველო დაეცა პოლიტიკურად, ის გაიხრწნა, ყველაფერი მაღალი კლასიკური მასში შეილახა და შეიმწიკვლა. და ეს დაცემა და გათახსირება უფრო ძლიერდება მას შემდეგ, როცა კონსტანტინეპოლი,—ეს აკვანი და დაუშრეტელი წყარო სიბრძნისა და მეცნიერებისა, დაეცა და განადგურდა, როცა ის ოსმალეთის მთავრობის გარყვნილობის და აღვირ-წახსნილობის სათარეშოდ ხდება 1453 წელს.

„ამ დღიდან დასავლეთის საქართველოს საშინაო

პოლიტიკაში ოსმალეთი ჩაერია, აღმოსავლეთისაში კი—სპარსეთი. აქედან იწყება დაუბოლოვებელი ინტერიგები. სარგებლობენ რა სპარსელები და ოსმალები საქართველოს შინაურის არეულობით და ამბოხებით, ისინი აქეზებენ და უსისინებენ მამას შვილზე, შვილს მამაზე, ძმას—ძმაზე, და ამ გვარად შებოჭეს და შემუსრეს საქართველოს თავისუფლება თვითონ საქართველოსივე შვილთა შემწეობით. ამ გვარ ჩარევას თან მოჰყვა ქართველ მეფეთა-მიერ სარწმუნოების გამოცვლა და ქრისტიანობის ნანგრევებზე ისლამი გამოიჭიმა. „ვიწრო პირადი ინტერესებით აღჭურვილნი ქართველნი მეფენი სიამოვნებით იცვლიდნენ სარწმუნოებას; მათ მიჰყავდათ ქართველი მონა-ქალები შაჰის და სულთნის ჰარამ-ხანებში, ავრცელებდნენ საქართველოში ისლამს და მათს ზნე-ჩვეულებას“ \*).

ამ გვარია ისტორიული მდგომარეობა საქართველოსი XIII—XVIII საუკუნემდე. მთელი ექვსასი წლის განმავლობაში საქართველოში სრული რეაქციაა გამეფებული. ბრძოლა საშინაო--ფეოდალთა შორის; ბრძოლა მამა და შვილებს შორის, ბრძოლა ძმებს შორის, ბრძოლა გარეშე მტრებთან, მუდმივი სისხლის ღვრა, აი რას წარმოადგენს ეს ხანა. ევროპაში „ადრძანების, დადებულ ადმოჩენათა და გამოგონებათა ხანა“ — საქართველოში დაცემისა და განადგურების ხანად შეიჭვავდა. და ამ გვარ გახრწნილ, დანაწილებულ და და-

\*) გვ. 4, წიგნი მესამე.

ფუქსავატებულ ერმა რა ლიტერატურული ნაწარ-  
მოები უნდა მოგვცეს? მთელის ექვსასი წლის ქარ-  
თულს ლიტერატურას დამონების, დაწვრილმანების  
და უკან-დახვეის დალი აზის, ბ. გიორგი წერეთლის  
სიტყვის არ იყოს: „ქართული კულტურის მაჯის  
ცემა მეცამეტე საუკუნის დამდეგს შესწყდა თითქოს  
იმ განზრახვით, რომ მხოლოდ მეცხრამეტე საუკუ-  
ნეში გამოღვიძებულიყო და ისევ დაეწყო ახალი ხა-  
ნა ცხოვრებისა“.

ბ. კ.

# ქართლისა და კახეთის სამეფოების პო- ლიტიკური მდგომარეობა

მეთის ირაკლის მეორის დროს.

(შემდეგი \*)

სასჯელმწიფო შემოსავალი. ოქრო-ვერცხლის და სპილენ-  
ძის მადნებიდგან, საბაჟოდგან (დამოუნიდგან), წყლების და  
თამბაქოს პლანტაციებიდგან, განჯის, შუშის და ერევნის სა-  
ხანოებიდგან და ქვეშევრდომთაგან სულ წელიწადში შემოს-  
დიოდა მეფეს 400.000 მანეთი \*\*). ამას გარდა თბილისს  
კიდევ სხვა გარდასახადი ედვა, რომლის რაოდენობა დამო-  
კიდებული იყო მეფის ნება-სურვილზედ. მეათე ნაწილი ყო-  
ველ გვარი შემოსავლისა, გარდა სამთოისა, ეკუთვნოდა ძვე-  
ლის კანონმდებლობით სახლო-უხუცესსა, ანუ სამეფო კარის  
უპირველეს მოხელეს.

მხეჯრობა. ჯამაგარით დაქირავებული ლაშქარი არ არ-  
სებობდა. ამ ათის წლის წინეთ ლეკთა თავგასულობის ასა-

\*) იხ. მოგზაური № 1.

\*\*). ეს ჯამა კვანებს ერთობ მცირეა, რადგან მაშინდელი დროის  
მოგზაურის რაინგისის ჩვენებით, მარტო ქვეშევრდომთაგან ადებუ-  
ლი კომლექსი გარდასახადი უდრიდა 610,000 მანეთს. ამის გარდა  
შუშის ხანი აძლედა მეფეს ხარკს 120,000 მ., ერევნისა—200,000  
მან. და განჯისა 50,000 მანეთს (იხ. საქართველოს ისტორია მ.  
ჯანაშვილისა გვ. 458).

ლაგმავათ მეფე ერეკლემ დააარსა ეგრედ წოდებული „მორიგე ლაშქარი, რომელიც შესდგებოდა 4000 მეომრისაგან \*). ეს მორიგე ლაშქარი რჩებოდა სამსახურში ერთ თვეს, შემდეგ იგი ბრუნდებოდა სახლში და მის მაგიერ გადიოდნენ რიგზედ სამსახურში სხვა ქვეშევრდომნი. ამ მორიგე ლაშქრით განსვენებულმა ლევან ბატონიშვილმა განსწმინდა მთელი საქართველო მუხთალ და ვერაგ ლეკთა და მთიულთა ხალხთა შემოსევა-აოხრებისაგან; მაგრამ ეხლა აღარც ერთი ბატონიშვილი არ იბრძვის მათ წინააღმდეგ ისე მამაცურად და ამის და მოხელეთა ბოროტ-მოქმედების გამო მორიგი ლაშქარი აღარსადა სჩანს სოფლებისა, გზებისა და მხენელ-მთესველთა დასაცველად.

კეთილ-შობილნი და შეძლებულნი გამოდიან სამსახურში ცხენით; ჩვენის იქ ყოფნის დროს მთელი მხედრობა 6000 მეომრისაგან შესდგებოდა; რუსეთთან ხელ-შეკრულობის შემდეგ მეფე ველარ ბედამდა თათრების, ყაზახელების და შამშადილებლების, რომელნიც საუკეთესო მეომრად ითვლებოდნენ, ჯარში გამოწვევას, რადგან მათის აჯანყება-გადადგომისა ეშინოდა. ოსები და კაბარდოელები ომიანობის დროს ჯამაგირით მსახურებდნენ მეფის ჯარში. ჯამაგირითვე ჰყავდა დაქირავებულნი ზოგიერთა ლეკთა ტომები, რომელთაგან მძევლები ჰყავდა მეფეს ყოველთვინ.

ქართული არტილერია დააქვთ ხარებით; თუმცა მას ბევრი ნაკლი აქვს და არც სისწორითაა იგი გაკეთებული, მაგრამ იგი მეზობელ მტრებისთვის მაინც საშიშოა, რადგან მათ სრულიად არ მოეპოვებათ არტილერია. ეხლა მეფე ერეკლეს 12 ზარბაზანი აქვს, რომელნიც ჩამოსხმულია თბილისში, თოფის წამალსაც თითონვე აკეთებენ და რადგან კარგათ არ იციან მისი შემადგენელი ნაწილების შეერთება, ამიტომ იგი ერთობ ცუდი თვისებისაა.

\*) ბუტკოვის სიტყვით — 5100 კაცისაგან. ა. ტ.

უმალესი სამხედრო მოხელე იწოდება სარდლად, რომელთა რიცხვი სამია: ერთი კახეთში—თავად ჩოლოყაშვილების გვარიდგან, ერთი ზემო ქართლში—თავად ამილახვრიანთ გვარიდგან და ერთიც სომხეთში—თავად ორბელიანთ გვარიდგან. ეს თანამდებობანი მემკვიდრეობითია საგვარეულოში. კათალიკოსს ჰყავს თავისი სარდლები—მარჯვენა და მარცხენა ფრთების გენერლები. არტილერიის უფროსი იწოდება თოჯინა-ბაშად. მეფის უფროს და უმცროს ადუტანტებად არიან ბიმ-ბაშუბი—ანუ ასის, ხუთასის და ათასის თავნი, იასაულნი და მებაირახტრენი. თუმცა ყველა ამ მოხელეთა თანამდებობანი არსებობენ, მაგრამ თავიანთ ადგილზედ არც ერთი მადგანი არა სდგას ომის დროს, ყველანი მეფის გვერდით იკრიფებიან ხოლმე. ამის გამო ომის დროს მათი ხელ-ქვეითნი თავის ნებაზედ დახეტიალობენ და რიგში უწეს-რიგოთ დგანან. მათი სამხედრო ბანაკი (ლაგერი) მიაგავს სავაჭროდ შეკრებილ გლეხკაცთა ბინას (კრებას); არა ჰყავთ არც მოწინავე და არც საყარაულო მორიგე რაზმები (отряды), რის გამოც ისე ღამე არ გავა, რომ მათ მტერმა შუა ბანაკიდან არ მოსტაცოს ცხენები, ან კაცები: რასაკვირველია, მტერსაც ასეთივე საწყაოთი უწყავენ ხოლმე. ჩვეულებად არა აქვთ სალაშქრო სურსათის (პროვიანტის) დამზადება, თვითეულ ჯარის-კაცს თვით მიაქვს თან იმდენი საზრდო, რამდენის ზიდვაც შეუძლიან; ამის გამო ჯარი ხშირად შიმშილს თმენულობს; ხანდისხან თბილისიდგან აშველებენ ხოლმე სურსათს, მაგრამ ეს იშვიათად ხდება; ამიტომ ომიანობის დროს მიაქვთ თან მარტო პური, დანარჩენ სანოვაგეს ღებუბულობენ განურჩევლად წეს-რიგისა ახლო-მახლო მდებარე სოფლებიდგან. ამით (უსურსათობით) აიხსნება ის გარემოება, რომ მეფე დიდხანს ვერ იჭერს ომის ველზედ საომრად გამზადებულ ჯარს; ჯარში სრულიად არ არსებობს საჭირო სამხედრო მორჩილება, სიმკაცრე და რიგიან-წესიანობა. ამიტომ ყოველგვარი ლაშქრობა თვით მკვიდრ მცხოვ-

რებთათვის საზარალო და დამღუბველ-ამომგდებია, რადგან თვითეულ ჯარში მყოფისათვის ნადავლ-ნაშოვნის შეადგენს ერთად ერთს მის ჯილდო-საჩუქარს.

### ც ი ხ ე - ს ი მ ა ზ რ ე ნ ი .

#### ქართლში.

1) საცახტა ქაჯაქა თბილისი. შემოზღუდულია აგურის კედლებით, რომელშიაც დატანებულია მრავალი კოშკები, გარშემო კი თხრილი არა აქვს შემოვლებული და არც რიგიანადაა გამაგრებული, მაგრამ რადგან საქართველოს მტრებს, გარდა ოსმალებისა, არტილერია არა აქვთ, ამიტომ იგი უშიშარი და მიუდგომელია.

2) გორი სძევს მტკვრის მარცხენა კიდეზედ, ლიახვის შესართავთან, და, თუმცა ძველებურადაა გამაგრებული, მაგრამ თავის ადგილ-მდებარეობით იგი მიუდგომელი და ძნელად ასაღებია არამც თუ იქაური ხალხისათვის, არამედ ევროპიელთათვისაც კი.

3) მცხეთა კედლებით (გალავნით) და კოშკებით გამაგრებული მონასტერია, სადაც ძველი დროიდგანვე გვირგვინდებიან საქართველოს მეფენი. სძევს მტკვრის მარცხენა კიდეზედ არაგვის შესართავთან.

4) ან:ხუდი ძველებური წეს-რიგით აგებული ციხეა, კოშკებით, სძევს არაგვის პირად, რუსეთიდგან საქართველოში კავკასიის მთებით მიმავალ გზაზედ.

5) გორის-ციხე ძველებური წესით აგებული ციხეა, შიგ კოშკებია დატანებული, იგი მეტად უძველესი დროისაა, სძევს მდინარე თერგის ბეჟობზედ, კავკასიის მთებ-შუა; მის ახლოს სძევს რუსეთის ჯარის-მიერ გაკეთებული რუსეთიდგან საქართველოში მომავალი გზა, ადგილ-მდებარეობით იგი მიუდგომელი და უშიშარია. ჯარების გავლის დროს შეიძლება აქ იქმნას გამართული საპრავიანტო მალაზია.

6) სურამი პატარა ციხეა, რომელიც სძევს იმერეთისა და ოსმალეთის საზღვრებს ახლოს; აშენებულია კლდეზედ, სიპატარავის გამო ვერ შეუძლიან დიდი გარნიზონის (ჯარს) დატევა და ძლიერის მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევა.

### კახეთში.

7) უმთავრესი ქალაქი თელავია, რომელიც გაუმაგრებულია.

8) ქიზიყში სიღნაღი წარმოადგენს ფართო ადგილს, რომელიც ირგვლივ გალავნითაა შემოფარგლული, სადაც ძლიერის მტრის თავ-დაცემის დროს გარეშე მახლობელ მცხოვრებელთაც შეუძლიანთ თავიანთ ავლა-დიდებით და საქონლით თავის შეფარება. საზოგადოთ მთელ საქართველოში ყველა მონასტრებს და სოფლებს, რომელნიც უმეტესად მიწაში არიან ჩამძვრალნი, აქვთ საკუთარი ქვითკირის ციხე-კოშკები, სადაც შიშის დროს თავს აფარებს ხალხი.

**სამეფო ოჯახი.** მეფე ერეკლე თეიმურაზის ძე ბაგრატიონი თავის თავს, გარდმოცემის სიტყვით, ურიათა წინასწარმეტყველ მეფის დავითის, ჩამომავლად სთვლის და მის წინაპართ თითქმის ათას წელიწადზედ მეტი უმეფნიათ საქართველოში. მეფე გამჭრიახი გონების კაცია, იშვიათი, მომთმენი და ღვთის-მოყვარეა. მიუხედავათ თავის 70 წლოვანობისა მეტად მხნე და მოუღალავია; დღეში სამჯერ სმენულობს ღვთის-მსახურებას ეკლესიაში; გარდა ამისა ყოველ დღე ორ საათობით ლოცულობს თავის კაბინეტში, ამ დროს არავის შეუძლიან მისი ნახვა; სძინავს ძრიელ ცოტა, მთელ ღამეებს სახელმწიფო საქმეების კეთებაში ატარებს. დღისით კი ღებულობს სპარსეთის ხანებსა და მთიულ ხალხებისაგან გამოგზავნილ დესპანებს. თვით მეფე ასამართლებს თავის ქვეშევრდომთ, უბრალო საქმეებშიაც კი. გამოცდილებით იცის აზიური პოლიტიკური ზნე-ჩვეულებანი, რადგან იგი სპარსეთის მეფის ნადირ-შაჰის კარზედ იყო კარგა ხანს,



ითვლებოდა მის ერთგულად და ყოველ მის ინდოეთზედ გა-  
ლაშქრებაში მონაწილეობას ღებულობდა, მაგრამ ყველაზე  
მეტს იგი უფრო იმას ცდილობს, რომ როგორმე დაამყა-  
როს თავის სამეფოში ევროპიული წეს-რიგი და განათლება.  
ერეკლეს მეუღლე—დარია გიორგის ასული, სამეგრელოს  
დადიანების ოჯახიდანაა, თავად ჩიქოვანთა გვარიდან; პირ-  
ველ ხანებში მას არავითარი გავლენა არ ჰქონდა სახელმწი-  
ფო საქმეთა მართვა-გამგეობაზედ, თითქმის არც კი იცნობ-  
დნენ მას, რადგან ჩვეულებისამებრ იშვიათად გამოდიოდა  
ხალხში. შემდეგ კი, როცა დაჰაყვაცდნენ ბატონიშვილები  
და წარჩინებულ და შემძლე კაცებზედ იქმნენ დათხოვილები  
მისი ქალები, დედოფალმა იწყო სახელმწიფო საქმეების  
მართვაში მონაწილეობის მიღება და ისეთი ძლიერი შეიქმნა,  
რომ უიმის-ნება-დაურთველად და დაუკითხავად ეხლა აღარც  
ერთი საქმე აღარ კეთდება და თვით მეფეც, მასთან ხან-  
გრძლივის ცხოვრების გამო, ენდობა მას ყოველისფერში.

ტახტის მემკვიდრე, ბატონიშვილი გიორგი, ერეკლეს  
უფროსი შვილია მეორე ცოლისაგან \*) და გერია დედოფ-  
ლის დარეჯანისა. იგი ყველა ბატონიშვილებზედ ღვთისნიერი,  
კეთილი და ღვთის-მოყვარეა, რის გამოც სამღვდლოება მას  
გარშემო ბლომად ახვევია. საღმრთო წერილში დიდად გან-  
ვითარებულია, ხოლო სამაგიეროთ არავითარი სამეცნიერო  
ცოდნა არა აქვს. მშვიდობიანობის მოყვარეა და მომხრეა  
სამეფოში ჯეროვანის წეს-რიგის დამყარებისა. რადგან სა-  
ქართველოში დღემდე საჭირო კანონ-მდებლობა არ არის  
გამოცემული, იმედია, რომ მომავალში იგი შემოიღებს სა-  
ჭირო-სასარგებლო კანონმდებლობას და დაწესებულებათ.  
გიორგის და დედინაცვალ დარეჯანს შორის დიდი უთან-

\*) ერეკლე სამეფო იყო შეუღლებული; პირველი ცოლისაგან  
შხოლოდ ერთი ქალი ჰყავდა—თამარი, ხოლო მეორისაგან—გიორგი.

ხმოებაა ჩამოვარდნილი, ამიტომ გიორგი ერიდება სახელმწიფო საქმეთა მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღებას, გარდა, რასაკვირველია, იმ შემთხვევებისა, როდესაც თვით მეფე ქვეყნის სათვალ-საჩინოთ იბარებს ხოლმე მას. გიორგი ბატონიშვილს პირველი ცოლისაგან \*) მრავალი შვილები ჰყავს, რომელთაგან უფროსია დავითი, რომელიც ეხლა 20 წლისაა; იგი დიდათ ფიცხი ხასიათისაა და დიდი ნიჭის პატრონია; განსაკუთრებით დიდ გაბედულობას და სიყვარულს ჩენულობს ომიანობისადმი და დიდად მონატრულია ევროპიული განათლების მიღებისა.

ა. ტატუნაშვილი.

(შემდეგი იქნება)



\*) გიორგი ორჯელ იყო შეუღლებული.

# ანტონი I

კათალიკოს-პატრიარქი საქართველოსი

(თ. უორდანისი \*)

ანტონი სცილობდა აგრეთვე საეკლესიო ღვთის-მსახურების აღდგენა-გამშვენებაზედ. პ. იოსელიანის ერთს ხელთნაწერში სწერია, რომ „ანტონ I ხელ-ახლად აღაშენა ეკლესიები ყველა სოფლებში“.

ანტონის საზრუნავს საგანს შეადგენდა ქრისტიანობის გავრცელება საქართველოს გარეშეცა. განსაკუთრებული ყურადღება იყო მიქცეული მისგან ოსებზედ და ძველს მესხებზეო, რომელიც შეუერთდა თურქებს XVII საუკუნის დასაწყისში. თუმცა ქრისტიანობა აღმოფხვრილი არ იყო იქ, მაგრამ შერყეული კი ძლიერ იყო კათალიკოსის დროს: ათაბეგნი და მაღალი წოდების პირნი აღიარებდნენ მაჰმადის სარწმუნოებასა და დაბალ წოდების ხალხს კი ჯერ კიდევ არ დაეკარგა მამა-პაპის სარწმუნოება, თუმცა ისინი მრავალჯერ იდევნებოდნენ, არ ჰყავდათ ხელ-მძღვანელი, ღირსეულნი მწყემსნი. სამწუხაროდ ჩვენ ცალ-ცალკე ცნობები გვაქვს ამ მხრივ ანტონის მოღვაწეობის თაობაზედ.

ოსეთის და დანარჩენ კავკასიის ერის გაქრისტიანებაზედ პირველად მრატკია ყურადღება ოსეთის მისიის ერთმა ბერმა<sup>1)</sup>.

\*) იხ. „მოგზაური“ 1901 წ. № 12.

1) ეს მისია დააწესა უწმ. სინოდმა ქართველი მთავარ-ეპისკოპოსის იოსებ სამეხეთის (რომელიც 1734—1716 წწ. მართავდა ნოვგოროდის ეპარქიას; როგორც თანაშემწე ანუ „კოადიტორი“

ამ ბერმა, რომელიც 1745 წ. მოვიდა ტფილისში, სთხოვა კათალიკოსს და თეიმურაზ II ზნეობრივი და ნივთიერი დახმარებანი. მეფე და პატრიარქს ძლიერ გაეხარდათ ნიადაგ მისიის დაარსება. მათ აჩუქეს ფულები ამ ბერს და გაგზავნეს კავკასიის მთებში <sup>2)</sup>. 1750 წელში ანტონმა და თეიმურაზ II „გაანათლეს ოსები“ და კეთილ-მორწმუნე მეფენი (ირაკლი II და თეიმურაზ II) ყოველთვის სცდილობდნენ ქრისტიანობის გავრცელებას ყველგან. ერთს ხელთნაწერში (1798 წ.) ნათქვამია, რომ მთიულეთში ქრისტიანობა, რომელიც გავრცელდა სირიელ მამების დროს (VI საუკუნეში) სხვა-დასხვა ისტორიულ გარემოებათა გამო და სამღვდლოების მხრივ უზრუნველობისა გამო, სრულიად დაეცაო. ზიარებას და ნათვლას ასრულებდნენ ერის კაცნი (აღბად დეკანოზები), მარხვას არ ინახავდნენ, საზოგადოდ ქრისტიანობის საქმე

თეოფანე ჰრკოპის ძისა) და მანგლისის ეპისკოპოსის იოანეს თხოვნის თანახმად 1745 წ. (უკანასკნელმა თითქმის მთელი თვისი სიცოცხლე შესწირა დადესტნის ლეკების გაქრისტიანების საქმეს, ააშენა მრავალი ეკლესიები და შემდეგ დაემკვიდრა ეიზლიარში, რომელშიაც უმეტესად სცხოვრობდნენ ქართველები და აქედამ 12 სასულიერო პირების მეოხებით ავრცელებდა ქრისტიანობას ოსეთის ხეობებში). ახლად გაქრისტიანებულთათვის დაასა მან ორი სასწავლებელი (ერთი ეიზლიარში), სადაც სწავლას ღებულობდნენ ქართველი ბავშვებიცა, აგრეთვე ააშენა მრავალი ეკლესიები. სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში მან ააშენა მონასტერი ასტრახანში, გარდაიცვალა დრმა მოხუცებული და დაკრძალულია სიონის ტაძარში, სადაც ახლაც იმყოფება მისი უხრწნელი გვამი (ამაზედ იხილე ჩემი სტატია „მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ბეჭვლითი საქმე საქართველოში მე-XVIII საუკუნეში. „ივერია“ 1884 წ. №№ 2 და 3).

<sup>2)</sup> „ქართლის ცხოვრება“ II, 387.

წასული იყო და კერპების თაყვანისმცემელი იყვნენო. არაგვის ერისთვის ზაალის რჩევით წილკნის ეპისკოპოსი რომანოზი გაემგზავრა მთიულეთში, მონათლა ყველა იქმცხოვრებნი, აზიარა წმ. საიდუმლოთი, დააყენა ყველგან მღვდლები, და აღუკრძალა ერის-კაცებს საიდუმლოების შესრულება; მიუჩინა მღვდელთ საზრდოთ მათგან ყოველ-წლოებით თითო ძროხა <sup>3)</sup>. ეს რომანოზ წილკნელი მე-XVIII საუკუნეშია ხომ არ სცხოვრობდა? რადგან წილკნის ეპარქია ემორჩილებოდა ანტონის, ამისათვის შესაძლებელია, რომ კათალიკოსი ამ საქმეში მონაწილეობას ღებულობდა <sup>4)</sup>.

მესხეთში ქრისტიანობის განსამტკიცებლად ანტონს მუდმივი კავშირი ჰქონდა იმ კუთხის გავლენიან პირებთან, უგზავნიდა ბარათებსა ათაბეგსა და ჰქონდა მასთან მეგობრობა; აგზავნიდა აგრეთვე საიმედო პირებს იქა და იღებდა მათგან დამორჩილების ხელ-წერილებსა. ჯერ არ ვუწყით კიდევ რა ნაყოფი გამოიღო ანტონის შრომამ მესხეთში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში. ვუწყით მხოლოდ, რომ მდამბიო ხალხში ქრისტიანობა დაცული იყო იქ მე-XVIII საუკ. ბოლომდისინ. 1803 წ. ახალ-ციხეში იქმნა წამებული ქრისტესთვის ვიღაც შალიკაშვილისაგან ერთი მღვდელი (წერაკითხვის საზოგადოების“ ხელთ-ნაწერი № 254). ქართლის ცხოვრებიდან ვიცით, რომ კათალიკოსმა მოაქცია ქრისტეს სარწმუნოებაზედ უკანონოდ დაბადებული ძე მეფე იესესი ისაყ-ბეგი და მონათლა იგი მღ. მტკვარში დიდის ამბით ქ. ტფილისში ორის შევლითურთ. მიმრქმელად იყო თვით მეფე. ქრისტიანობაში ისაყს უწოდეს ალექსანდრე, ხოლო მის შეილებს იოანე და სოლომონი <sup>5)</sup>. გააქრისტიანა აგრეთვე

<sup>3)</sup> საეკლესიო გუჯარი გვ. 25. „ძროხად ძველს ქართულ კანონ-მღებლობაში იგულისხმება ფულა“.

<sup>4)</sup> იქვე, გვ. 32.

<sup>5)</sup> ქართლის ცხოვრება II, 428. Brossef Addition, IX p. 628.

მაჰმადიანი ციციშვილი მერალი-ბეგი, ღიმიტრად წოდებული (ქართ. ცხ. II, 429).

აქვე საქიროა შევნიშნოთ, რომ პატრიარქმა ჩაიგდო ხელში საეკლესიო ქონებათა მართვა-გამგეობა და შეხლულა ისინი ეპისკოპოზების და ბერების ბოროტად ხმარებისაგან. ამითი გამოიწვია მან უსიამოვნება სამღვდელთა მხრივ. ეს უსიამოვნება გამოხატა მეფის მოძღვარმა, დეკანოზ ზაქარია გაბაშვილმა სატირაში („ომი კატისა“), რომელიც გამოვიდა საქართველოში ანტონის რუსეთში გადასვლის შემდეგ<sup>6)</sup>. პატრიარქმა გამოაცალა ხელიდან საეკლესიო ქონების მმართვეა-გამგეობა აგრეთვე ამილახვარსა და ერისთავს. მათ შორის ჩამოვარდნილს უსიამოვნებას მოჰყვა ის, რომ მეფის დახმარებით მან სამუდამოდ აღუკრძალა თავადებს „საეკლესიო გლეხებითა და ქონებით სარგებლობა“<sup>7)</sup>.

მაგრამ ყველაზედ უფრო კი ანტონი სცდილობდა ქრისტიანობის დანერგვას თვით საქართველოში, რომელიც მის დრომდე სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. მართლაც საკვირველი ენერგია გამოიჩინა კათალიკოსმა ამ მხრივ და მრავალ ხნოვან საქართველოში პატრიარქად ყოფნის დროს დასტოვა აღმოუხოცელი კვალი და უკვდავი სახელი თვისის ურიცხვი ლიტერატურული მოღვაწეობით. სიცოცხლის უკანასკნელს დროს მან უკვე დაინახა ნაყოფი თვისის მოღვაწეობისა და დაუდგარის მისწრაფებისა განათლებისადმი. მას შემდეგ უმაღლესი ადგილები ეკავათ უგანათლებულესს მღვდელ მთავრებსა, მის მოწაფეებსა, რომელთაც შესანიშნავი ენერგიით გაავრცელეს, განაგრძეს კათალიკოსისაგან დაწყებული საქმე და დააყენეს სასუ-

<sup>6)</sup> იხ. სტატია.

<sup>7)</sup> ერთი საბუთს (1766 წ.) ჩვენ გვაქვს. თხილე აკრეფვე საქეკლესიო გუჯრები გვ. 99.

ლიერო განათლება საქართველოში მე-XVIII საუკუნეში უმაღლეს წერტილზედ.

პირველად განათლებულმა მწყემსთ მთავარმა, შეპკრიბა საქართველოს ყველა კუთხეებიდან დაფანტული და იშვიათი ხელთ-ნაწერები და დაარსა იმათგან წიგნთ-საცავი მცხეთის საპატრიარქო ეკლესიასთან. რიცხვი ტომთა საპატრიარქო წიგნთ-საცავში აღემატებოდა 7,000 <sup>8</sup>). ამის შემდეგ კათალიკოსმა აღადგინა მრავალი მონასტერი, რომელშიაც ღებულობდენ განათლებას და დაარსა სამონასტრო წიგნთ-საცავები. განსაკუთრებით სცდილობდა იგი იოანე ნათლისმცემლის და დავით გარესჯელის მონასტრების გამშვენებასა. ანტონმა თან-და-თან გაამრავლა საეპარქიო სკოლები და დაავალა ეპისკოპოსთ „ესწავლებინათ ერისათვის“. 1749 წ. მან აღძრა კითხვა კრებაზედ შესახებ სკოლების დაარსებისა. კრების დადგენილებით დაარსდა სკოლები ტფილისში და თელავში რუსეთის სემინარიებისთანანი. ამ კითხვას კიდევ დაუბრუნდებით, აქ მხოლოდ ის შევნიშნოთ, რომ ეს ორი სასწავლებელი, განსაკუთრებით ტფილისისა ექვეშეკრდომებოდა კათალიკოსს. 1749 წ. ანტონმა დაარსა სტამბაც.

ამისთანა ზომები განათლების წარმატებისათვის მაინც არ იყვნენ კიდევ საკმაო, რადგან სხვა მართლ-მადიდებელ ეკლესიებში უფრო მდიდარი ლიტერატურა იყო. სომხეთის ეკლესიაც კი უფრო მდიდარი აღმოჩნდა ამის მხრივ საქართველოს ეკლესიაზედ, ამისათვის რომ იტალიაში არსებობდა მდიდარი საზოგადოება მხიტარისტებისა (სომეხ-კათოლიკენი), რომელიც იკვლევდა სომხურ ლიტერატურასა და ამდიდრებდა მას ახალ-ახალის თარგმანებით და თხზულებებითა. განსაკუთრებული განათლება ემჩნეოდა სომეხ-კათოლიკეთა საზოგადოებასა; რომელმაც შეითვისა სქოლასტიკური მიმართულება და საქართველოს სამღვდლოებებს წინ გაუსწრო.

<sup>8</sup>) კრებული საეკლესიო ხელთ-ნაწერების სიკვლეებისა, გვ. 415.

აღქურვილი სქოლასტიკური კკუა-მახვილობით ეს სამღვდელოება ავრცელებდა სომხურს და კათოლიკურ მწვალებლობას საქართველოში, სამღვდელოება ჩვენი ვერ უმკლავდებოდა მათს მისწრაფებასა და ამისათვის მათი პროპაგანდა საშიშო იყო მართლ-მადიდებლობისათვის. უფრო საშიშო იყო ლათინთა მისიონერებისაგან გავრცელებული სწავლა საქართველოში მე XVIII საუკუნეში. მისია დაწესდა აქა XVIII საუკუნეში პაპა ურბან VIII დროს. გარეგნულის წმიდა ცხოვრებით, უფასოდ ხალხის ექიმობით, და დასასრულ, რაც უფრო უმთავრესია, თვისი განათლებით, ენისა და ზნე-ჩვეულებების შესწავლით, მათ (მისიონერებმა) დიდი გავლენა იქონიეს განსაკუთრებით მაღალ-წოდების წრეზე, რომელიც იყო განათლებული. მე-XVIII საუკუნეში პროპაგანდა უფრო გაძლიერდა. გამოვიდნენ აზნულებანი მართლ-მადიდებლობის წინააღმდეგ და ლათინთა სექტის სასარგებლოდ ქართულ-სომხურ და ლათინურ ენებზედ.

ამისთანა საშიშ მტრებთან საბრძოლველად საჭირო იყო სერიოზულად მოფიქრება, იმ მტრებთან, რომელთანაც ვერ შესძლეს შეტაკება კათალიკოს ბესარიონმა (1724—1739 წ.), კათალიკოს დომენტი III (1739—1742 წ.), მთავარ-ეპისკოპოსმან იოსებ სამებელმა და სხ. გატაცებულ მეცნიერებისადმი წყურვილით, კათალიკოსმა გადასწყვიტა შემოეღო საქართველოში ბერძნულ-ლათინური სქოლასტიკური განათლება და მოინდომა სკოლების დაარსება.

ამ მიზნის მისაღწევად კათალიკოსმა სცნო საჭიროდ თითონვე შეესწავლა სხოლასტიკური მწერლები. მაგრამ ეს შესაძლებელი იყო კათოლიკეთა მისიონერების მეოხებით, რომელნიც იყვნენ ამისთანა განათლების მიმდევარნი. ამისათვის პირველსავე ხანებში დაუახლოვდა კათოლიკეთა ბერებსა და იწყო სწავლის მიღება მათგან. რადგან ჯერ ძრიელ სუსტად იცოდა ლათინური ენა, ამისათვის პირველად მან მიჰმართა მიხიტარების ტების საზოგადოებასა, რომელიც დაა-



არსა 1717 წ. პაპის კლიმენტი XI ვენეციაში (იმათი მონასტერია sahit cosore-ს კუნძულზე) და რომელმაც გაამდიდრა სომხური მწერლობა სხოლასტიკური თხზულებათა თარგმანებითა; ისინი იბეჭდებოდენ ვენეციის სტამბაში. როდესაც კარგად შეისწავლა სომხური ენა ანტონმა, იგი გაეცნო იმ სხოლასტიკებსა, რომელნიც თარგმნილი იყო სომხურს ენაზედ და იწყო გადაღება ქართულს ენაზედ სხოლასტიკურის თხზულებებისა სომხის მღვდლის ფილიპპე ყათმაზაშვილის შემწეობით (იხ. წინასიტყვაობა პირველის ქართულის გრამმატიკისა). ამასთანავე ბრძენს კათალიკოსს სახეში ჰქონდა სკოლები, სცდილობდა იგი გაეცრცელებინა სასწავლო წიგნები, სახელმძღვანელოები. ამისათვის მან მიჰყო ხელი ყოველით უწინარეს არისტოტელის კატელორიის თარგმანსა ორ ნაწილად და პირველი ქართული გრამმატიკის შედგენასა. ამ გრამმატიკის წინასიტყვაობაში კათალიკოსი მოიხსენიებს მის თანამშრომელს — ზემოხსენებულს მღვდელსა, იგი სწერს რომ მან გაიცნო იგი რამოდენიმე წლის წინად კათალიკოსობის მიღებამდე, „არისტოტელის თარგმნამ ძრიელ მასიამოვნა მევე და ვმადლობდი ღმერთსაო. ერთმანეთთან საუბრობის დროს ჩვენ გადავსწყვიტეთ გრამმატიკის გადათარგმნა; მაგრამ ამ დროს მე იმან შემაჩერა, რადგან ამის ხელ-ჰყოფა შეუძლებელი იყო, მღვდელს ფილიპპეს კი საკმაოდ შესწავლილი ჰქონდა გრამმატიკა. ფილიპპემ გამაცნო მე ჯერ სიტყვის ნაწილებსა, შემდეგ ასოებსა, მარცვლებსა და წინადადებასა და მის შემადგენელსა. მეც ჩქარა შევისწავლე გრამმატიკა“. კათალიკოსი არ დაკმაყოფილდა სომხური წყაროების შესწავლითა, რადგან მას სახეში ჰქონდა უმაღლესი სასწავლებლის დაარსება საქართველოში და მომზადებულიც იყო ამ საქმისათვის, მან იწყო ამისათვის ლათინურის ენის საფუძვლიანად შესწავლა და ლათინთა მისიონერებთან მეგობრობითი კავშირის დაქერა. ის უფრო დაუახლოვდა ნიკოლოზ პატრსა და აგრეთვე კაპუცინებსა — ფრანცისკის და

ზადუანელ ბენევენტიესასა. ისინი პირველად საქართველოდან ახალციხეში გადაიყვანეს, ჩაგრამ ხელმეორედ გამოიწვიეს ტფილისში, როგორც მკურნალები (წყობილ-სიტყვაობა, გვ. VIII). ამ მისიონერების მეოხებით ანტონმა მიჰყო ხელი სხოლასტიკური თხზულებების შესწავლასა, პირველ ქართულის გრაიმატიკის შედგენის დროს. ის ხშირად მიჰმართავდა ხოლმე მისიონერებს, რომლებთანაც ღებულობდა საკმაო ცნობებსა (იხ. წინასიტყვაობა, სიტყვა მეოთხე). შემდეგ ის თან-და-თან დაუახლოვდა კათოლიკეთა მისიონერებსა და გაიხადა კიდევ ისინი მასწავლებლად და თანამზრახველებად უმაღლესი სკოლის საქართველოში დაარსების საქმეში, აგრეთვე ისინი იყვნენ თანამშრომლები სახელმძღვანელო და სამეცნიერო წიგნების შედგენის დროსა. ისინიც დიდის სიხარულით ყველაფერში მზად იყვნენ პატივი ეცათ მისთვის. მცხეთის საკრებულო ტაძრის ქართული გუჯრების კრებულში დაცულია ერთი სიგელი „ტფილისელ პატრებისა და კათოლიკეთა მისიონერების კაპუცინთა ორდენისა“ 1749 წელს მიცემული ანტონზე. ეს სიგელი დამტკიცებულია მეფის ხელწერილით და მისიონერების ღებობითა, რომელიც წარმოადგენს მოციქულებს პეტრე და პავლესა სხვა მოციქულებში, ხოლო გარშემო წარწერა: „Tiflis in Georgia“<sup>9)</sup>. კათოლიკებს ჰქონდათ აგრეთვე ანტონის სურათი ფერად წამლებისაგან გაკეთებული, რომელიც მისიონერების საქართველოდან განდევნის შემდეგ 1844 წ. მოიპოვა განსვენებულმა პ. იოსელიანმა, ავტორმა მრავალ საისტორიო და საარქეოლოგიო შრომათა (წყობილ-სიტყვაობა, გვ. VIII).

მიზანი კათალიკოსის მისიონერებთან დაახლოვების მდგომარეობდა იმაში, რომ მას ჰსურდა, (როდესაც შეისწავლიდა საფუძვლიანად კათოლიკეთა სარწმუნოების სისტე-

<sup>9)</sup> Рукописный сборникъ разныхъ грузинскихъ актовъ, გვ. 233, საეკლესიო გუჯრები დ. ფურცელისა, გვ. 114.

მას), როგორც ამას ჰფიქრობს პ. იოსელიანი, გაჰმკლავებოდა ლათინებს, ე. ი. მათი გასაბათილემელი თხზულება დაეწერა, რადგან არ მოიპოვებოდა ქართულს ენაზედ ამისთანა თხზულება; „გრდემლი“, ეს საუკეთესო თხზულება კათალიკოსის ბესარიონისა (1724—1735 წ.), რომელიც იყო კათოლიკეთა სარწმუნოების საფუძვლიანი გასამტყუნებელი საბუთი, ანტონის ფიქრით და ამისთანავე თხზულება ევკრატოს ნიკიის მიტროპოლიტისა, ვერ აკმაყოფილებდნენ ამ მიზანსა<sup>10)</sup>.

ყველაზედ უფრო ანტონს სწადდა გაებათილებინა მე-XVII საუკუნეში გაძლიერებულის მონოფიზიტის მწვალებლობა.

გავიდა რამოდენიმე წელიწადი სომხეთის ეკლესიის განყოფისა სამსოფლიო ეკლესიისაგან დვინის კრებაზედ 551 წ. საქართველოს ეკლესიაშიც შესწყვიტა მასთან კავშირი 597 წ., როდესაც მონოფიზიტთა კრებამ ამცნო მას, რომ არავითარი კავშირი სჭეროდათ ქართველებთან გარდა ვაქრულისა. ვინც ამ კანონს გადავიდოდა, იგი მიეცემოდა საუკუნო წყევასა. ზოგიერთმა ქართველმა მიიღო სომხის სარწმუნოება და, რადგან მათ არ სდევნიდნენ ქართველი მეფეები, ისინი მშვიდობიანათ სცხოვრობდნენ საქართველოში და აღიარებდნენ თავიანთ სარწმუნოებას ეგვიპტისაგან გამოგზავნილის ტერტერების ხელ-მძღვანელობით. ამ გასომხებულს ქართველებს შეხვდებოდათ ყველგან საქართველოში, უფრო აღმოსავლეთ საქართველოში. ისინი დიდის პატივით ეპყრობოდნენ ქართველების ქრისტიანების წმიდა წმიდათასა მცხეთის ტა-

10) „წიგნი სიტყვათა“, გვ, 217; § 664—666 და სხვათა 167. გრდემლია ძრეულ კარგი გამაბათილებელი კათალიკეთა სარწმუნოებისა, მაგრამ ეს თხზულება შეიძლება არ მოსწონდეს ანტონსა მისთვის, რომ არ იყო იგი დაწერილი სხვადასხვა ენაზედ.

ძარსა, იღებდნენ მონაწილეობას ქართველ სამღვდელთაგან-  
 მიერ შესრულებულ წესებში; დადიანდნენ მართლ-მადიდებელ  
 ეკლესიებში, ლოცულობდნენ და სანთელს ანთებდნენ იქა  
 (ეს დღესაც ასეა). თუმცა ბევრს სცდილობდნენ სომხები,  
 მაგრამ მაინც ვერ შესძლეს ქართველების სარწმუნოებაში  
 შეერყევა; ქართველი სამღვდელთაგან პატივით ეპყრობოდნენ  
 ქართველს სომხებსა და არ უწოდებდა მათ მწვალებლებსა.  
 მათ სთვლიდნენ მხოლოდ „რასკოლნიკებად“, რომელნიც  
 კოტათი განირჩევიან სწავლით მართლ-მადიდებლებისაგან.  
 ამით აიხსნება ისა; რომ ქართველები მოიწვევდნენ ხოლმე  
 სომხებსა ძმადებად, შვილების მიმქმელად და ყოველს მეჯ-  
 ლისხედა. სომხებსაც არ ერიდებოდნენ ამისთანა საქმეში  
 ქართველები. არის იმისთანა შემთხვევა, როდესაც სომხის  
 მღვდელს მოანათვლინებენ ბავშვს ქართველები და ან დაა-  
 კრძალვინებენ მიცვალებულსა... ქართველები ამბობენ „ჩვენ  
 ჩვენი კანონი გვქონდეს და იმათ მათიო, რადგან ღმერთმა  
 ასე ინებაო“. სხვა სარწმუნოების ერი ქართველებს ძრიელ  
 სძულდათ, მათ ეძახდა „ფრანგებს“ ანუ ურჯულოებსა.  
 სოფლებსა და ქალაქებში ქართველები უფრო მეგობრულად  
 სცხოვრობდნენ სომხებთან; საერო ყრილობაში, სოფლის  
 მამასახლისად სომეხს ირჩევდნენ ხოლმე ხშირად; მეფენი და  
 ქართველი თავადები უფრო სცდილობდნენ მათს დაახლოვე-  
 ბასა. საპატიო საპოლიტიკო საქმეს ანდომებდნენ სომხებსა,  
 დღემდისინ თვითელს ქართველს და სომეხს-ქართველს კარ-  
 გად ახსოვსთ, რომ ისინი ძმები იყვნენ, წარმომდგარნი ერ-  
 თის ტომისაგან, ნემვროდისაგან, როგორც ამაზედ მოგვი-  
 თხრობს წიგნი (იგულისხმება ქართული ქრონიკა).

როდესაც სომხეთზედ მოაწია უბედურებამა მე-XVIII  
 საუკუნეში, ქართველებმა ბევრი სომეხი გადაარჩინეს ლეკე-  
 ბის დარბევისაგან. ისინი ბევრნი სცხოვრობდნენ ქართველ  
 სომხებში აღმოსავლეთის საქართველოს სოფლებსა და და-  
 ბებში. სომხები სარგებლობდნენ ამ ქვეყნის ნაწარმოებით და

ქართველების გულ-კეთილობით, თუმცა გულში კი სხვა ედვათ; მათ სძულდათ ქართველები და მათი სარწმუნოება; მათვე გაასომხეს ქართველები სომხურის ენის გავრცელებით, მათმა მოქმედებამ 150 წლის წინეთ უკვე მოიტანა სამწუხარო ნაყოფი... 1784 წ. მეფე ერეკლემ გადაასახლა საქართველოში ახალშენი მკვიდრნი სომეხნი. დიდი ზიანი მოუტანეს აგრეთვე სომხეთიდან გადმოსახლებულთა და სომხის სარწმუნოების მქადაგებელთა გამაჰმადიანებულს საქართველოს, რომელიც მე-XVII საუკუნეში შაჰაბაზის შემოსევის შემდეგ და ოსმალეთთან ზავის შეკვრის შემდეგ სრულებით დაემორჩილა ოსმალეთსა. მრავალი დევნილი ქრისტიანები გადმოესახლნენ საქართველოში; მრავალი იწამა სარწმუნოებისათვის. სომხის და კათოლიკების მისიონერებმა ისარგებლეს ამისთანა უბედურებით. მათ შეაფარებინეს თავი ქრისტიანებს იმ პირობით, რომ მათი სარწმუნოება მიეღოთ. რადგან ქართველები დიდის პატივით ეპყრობოდნენ სომხის სარწმუნოებას, ამისათვის მათ საუმჯობესოდ სცნეს სომხის სარწმუნოების მიღება, ვინემ ისლამისა თან-და-თან ვრცელდებოდა სომხის ეკლესიები გამაჰმადიანებულს საქართველოში. ძველი მართლ-მადიდებელი ეკლესიები დაიკავეს სომხებმა და კათოლიკეებმა.

ამისთანა ნაყოფით გატაცებულნი სომხის სარწმუნოების მქადაგებელნი მოედვნენ მთელს საქართველოს, მაგრამ აქ მათ წინააღმდეგ ამხედრდნენ ქართველი კათალიკოსები—ნიკოლოზი (ამილახვარი 1675—1688 წ.), დომენტი (1705—1724 წ.) და ყველაზედ უფრო ბესარიონი (1724—1639 წ.). საქართველოში იყვნენ ნათარგმნი თხზულებანი სომხების საწინააღმდეგოთ. ამისთანა იყო, მაგ., წმ. იოანე დამასკოს „წინამძღვარი“, თეოდორე სარაიის ეპისკოპოსის—„აბიკური“, ნიკიტა „სტიფატის“ სომხის სარწმუნოების უარ-ჰყოფა და სხ. ამისთანა თხზულებების შემწეობით ქართველი მწყემსთ-მთავარნი ყოველთვის გამარჯვებულნი იყვნენ ხოლ-

მე. მაგრამ მე-XVIII საუკუნეში საქმემ სხვა მიმართულება მიიღო მხიტარისტების სამეცნიერო შრომანი მთელს სომხეთს და მოეფინა და სომხეთის სამღვდლოებაც დაეწაფა მას. გადართარგმნა სომხურს ენაზედ სხოლასტიკური თხზულებანი. სომხის სამღვდლოებამ ამ მხრივ გაუსწრო ქართველებისას. სომხებმა დაუწყეს დევნა ქართულ ეკლესიას. კათალიკოსი ბესარიონი (1724—1739 წ.) პირველი მოწინააღმდეგე გახდა მათი. აი რასა სწერს იგი: „დიდხანს ვფიქრობდი ეყოფილიყავ მდუმრედ... მაგრამ მე მაიძულებენ ვიბაასო ახალი ესე დრო და ახალი ფილოსოფოსნი, რომელნიც იქებენ თავსა მქვერ-მეტყველური ფრაზებითა და მრავალ-სიტყვიერობითა და სცდილობენ მიუწდომელს მისწვდნენ, გამოუთქმელი გამო-თქვან; მათი ბაგე ზეცამდე, ხოლო ენა ქვეყნამდე.. ისინი მოუთხრობენ ახალს ჭეშმარიტებას სარწმუნოებისას და მზად არიან განიცადონ ახალი... მათ განიზრახეს იცნან დაუტევ-ნელი და ჰქადაგებენ რომელიმე ახალს კანონსა და ახალს სარწმუნოებასა, რომელი არ მოგვეცემის ჩვენ ზეგარდამო... ივინი ჰგონებენ თავთა თვისთა უბრძენეს ბრძენთა მათ სას-წაუღოთ-მომქმედთა (ე. ი. ძველის ეკლესიის მამათა) და უწმიდეს წმიდათა მათ უწინარესთა (ე. ი. ქრისტიანობის პირველი ხანა) და უმაღლეს დიდთა ღვთის-მეტყველთა და მოძღვართა... და აცდუნებენ უმეცართა... (ხელთნაწერი საეკლესიო მუზეისა № 156).

ბესარიონ კათალიკოსს ჰქონდა საქმე დაჭერილი კათო-ლიკებთან უფრო... სომხის სარწმუნოების მქადაგებელნი აგრე რიგად არ იყვნენ ჯერ კიდევ აღმოსავლეთს საქართვე-ლოში. მაგრამ მონათფიზიტის მწვალებლობამ იჩინა თავი სა-ქართველოში იესეს სტკვილის შემდეგ თეიმურაზ II გამე-ფების დროს (1727—1744 წ.) პირველს ხანებში ამისთანა მწვალებლობის გავრცელება დაიწყო ჯერ საქართველოს გარ-შემო კუთხეებში: ხრამის ხეობა, ბორჩალოს მაზრა და ალა-ზნის გაღმა მხარე მოკულ იყვნენ მქადაგებლებით. „ეს მქა-

დაგებელნი მოედნენ საქართველოში, ვითარცა მკელნი მტაცებელნი ცხვრის ტყავში გახვეულნი; იწყეს მათ ქადაგება მოძღვრებისა, რომელიც იყო შეზავებული მონოფიზიტთა მომაკვდინებელი საწამლავით, შეაერთეს რა ორი ბუნებანი ღვთისა ერთ ბუნებად, ხოლო აღიარეს მასში ერთი ნება და ერთი მოქმედება... წინამძღოლობითა სატანისათა ისინი განიფანტნენ ყველგან, ვითარცა წინაპარნი ნემვროდისა ენათა აღრევის შემდეგ და ასწავებდნენ ეკკლესიის დაუმორჩილებლობასა და დაბადეს შაკოთნი... ისინი აწოდებდნენ ქართველთ ჯოჯოხეთურს სასმელსა პელაგიანთა და უმეტესად მათ, რომელნიც სცხოვრობდნენ სომხეთში (ხრამის ხეობა, რომელიც იყო გაშენებული მართლ-მადიდებელი მკვიდრთაგან). ისინი აცდუნებდნენ ხალხსა და არბევდნენ ეკკლესიასა“, — სწერს მთავარ-ეპისკოპოზი ტიმოთე.

რადგან ქართველთ მეფე ხელს არ უშლიდა პროპაგანდისტებს, ამისათვის ისინი თავისუფლად დათარეშობდნენ ყველგან და ავრცელებდნენ მწვალებლობასა. ისინი გაუბამდნენ საუბარს კათალიკოსსაც კი, როგორც მოწმობს თეოდონ იგი (მზა-მეტყველება, წიგნი III, § 63). ერთი სომხის მღვდელი ზემო-ქართლელი დიდხანს ესაუბრა კათალიკოსსა, მონოფიზიტის მწვალებლობის პარველი მქადაგებელი იყო თვით სომხის კათალიკოსი ლაზარე (ჩაუკელი), ანტონის თანამედროვე. ეს ლაზარე აღიზარდა სომხის სხოლასტიკურს სკოლაში; უპირატესობას აძლევდა იგი საკუთარს მოსაზრებასა და განსაკუთრებით არისტოტელის ლოდიკასა საღმრთო წერილის მიუწდომელ ქვემარტების განსამარტავად. ლაზარემ დაიკავა კავშირი ანტონთან, რადგან ჰსურდა მას მიეღებინებია მისთვის თვისი სარწმუნოება.

ანტონი ამბობს, რომ „ლაზარე, სომხითის კათალიკოსი დიდი მებობარი იყო ჩემიო, ხშირად მოკითხვის ბარათებს მიგზავნიდაო“ (მზა-მეტყველება, წიგნი II, თავი 2). ლაზარემ გამოხსცა ვრცელი შრომა თვისი „დრახტ წანკალი“,

ე. ი. „სასურველი სამოთხე“, რომელშიაც იგი სცდილობს სომხის ეკლესიის სწავლის მალა დაყენებასა, უარ-ჰყოფს ეკლესიის სწავლას შესახებ იესო ქრისტეს პიროვნებისა. ეს თხზულება, — ამბობს კათალიკოსი, — სავსეა მწვალებლობის ცუტუნებებითა. სხვათა შორის ლაზარე სცდილობს დაამტკიცოს თანასწორობა ღვთის ბუნებისა, ხოლო ბუნება მისი სხეულისა გაუთანასწოროს პიროვნების ბუნებასა მისსა; სხეულს მაცხოვრისას უწოდებს გარეშემოუწერელს (მზა-მეტყველება, წიგნი III, § 172, 173, 148, 284). შემდეგ იგი აღიარებს, რომ კაცობრივი და ღვთიური ბუნებანი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი მიემსგავსებიან „ეიბუ“ და სახესა მისსა (მზა-მეტყველება, წიგნი III, § 172). წიგნშია მოთაფსებული ბოროტი გმობანი ქალკიდონის კრებისა და წმიდის ლევისა, რომლის სახელით უწოდებს მართლ-მადიდებელ ქრისტიანებს „ლეონტინელებად“, ე. ი. ლევის მიმდევართ. სომხითის ეკლესიას ყველა ეკლესიებზედ მალა აყენებს, ხოლო სომხის კათალიკოსს ყველა ქრისტიანების უფროსად ჰხადის (მზა-მეტყველება, წიგნი III, § 274).

ეს თხზულება ავტორმა წარუდგინა ქართველს კათალიკოსსა ბარათითურთ (მზა-მეტყველება, წიგნი II, თავი 2). აგრეთვე ამ წიგნის შინაარსი აცნობეს ქართველ ერსა და სამღვდლოებასა და როგორც ამბობს მთავარ-ეპისკოპოზი ტიმოთე იგი ვრცელდებოდა ერში და შეჰყავდა იგი ცეცხლის გენიაში (მზა-მეტყველების წინასიტყვაობა). თვითონ ანტონ კათალიკოსი მოგვითხრობს, რომ „მამაკვდინებელი ქირი (ამბოხება) ცოფიან ბრძოლათა (მწვალებელთა) გადაედო მათგან დაკბენილ ძაღლებსო და მე ჩემის თვალით ვხედავდი მრავალთ ცოფიან ძაღლთაგან ნაკბენტა, რომელნიც გაცოფდნენ მათგან ვნებულის წყლულისაგანო“ (მზა-მეტყველება, III, § 289). სომეხთა სარწმუნოება იმდენად გავრცელებული არ ყოფილა შიგნით ქართლში, რამდენად ხრამის ხეობაში ანუ სომხითში და ბოლნისის ეპარქიაში. ისტორიულის



საბუთებიდამ სჩანს, რომ მე-XVII და მე-XVIII საუკუნოებში ეს ხეობა დასახლებული იყო მართლ-მადიდებელის ქართველებითა. დღემდე ამ ხეობაში მოსჩანან ეკკლესიები და მონასტრები სრულად მორთულნი ქართულის წარწერებით და ქანდაკებით, მხოლოდ ერთი კანკელი არ არის. შესანიშნავნი ტაძარნი თვისის სიძველით, სიდიდით და ხუროთ-მოძღვრებით ბოლნისისა, ფითარეთისა, სამშვილდისა, დმანისისა და სხვანი ამ ჟამად დაცარიელებულნი არიან, თუმცა სრულად მრთელად კი არ არიან დაცულნი. 1866 წელში ჩვენ შემთხვევით შეეუბნეთ ტყეში და შევნიშნეთ ერთს მიუვალს კლდეზედა, უფსკრულში, მონასტერი, გაღავნით გარს შემოვლებული, მრთელის სამრეკლოთი. უმთავრესი ეკკლესია სრულიად მორთულია, იგი სდგას კოშკთან მედიდურად; დახურულია თეთრის თლილის ქვითა, რომელშიაც დღემდისინ ერთი წვეთი წყალი არ ჩასულა; ეკკლესიას გარშემო აქვს მშვენიერი ჩუქურთმები და ადგილ-ადგილ წარწერებიც აქვს; კედლებზედ დაცულია მხატვრობა. მხოლოდ კანკელი არა აქვს. ყველაზედ უფრო შესანიშნავი ის იყო, რომ ამ მონასტრის გარშემო ჩვენ ვნახეთ 8 სრულად მრთელნი ქვითკირის ეკკლესიები ქართულის წარწერებითა და მხატვრობითა კედლებზედა. ყველგან, ყველა ამ ხეობაში თქვენ უეჭველად შეხვდებით მართლ-მადიდებლობის კვალსა, თვითონ ტიმოთე, რომელიც მოგვითხრობს სომეხთა პროპაგანდაზედ ამ ხეობაში, იყო ბოლნისის მიტროპოლიტი. როდის მოისპო აქ მართლ-მადიდებლობა და გაბატონდა მონოფიზიტობა? ჩვენის ფიქრით მართლ-მადიდებლობამ ფეხი ამოიკვეთა აქ ანტონისა და ტიმოთეს დროსა და მათ შემდეგ ხომ სრულად მისი ხსენებაც არ ყოფილა აქეთ. ზოგს აქაურ მკვიდრთ, რომელთაც ჩვენ გამოვკითხეთ, ახსოვსთ მართლ-მადიდებლობა. როდესაც ვკითხე, რამ გაიძულათ გასომეხება-მეთქი, იმათ მომიგეს: „ჩვენ არ გვყვანდა მართლ-მადიდებელი მღვდელი, ის ჩვენგან დაცილებული იყო; ჩვენ გავინათლეთ სომხის ტერტე-

ბებისაგანო; სულ ერთი არ არის, რაღაი მოვიწინათლეთ, ხომ ქრისტიანები ვართო“, — მოგვითხრეს ჩვენ იმათ \*).

ანტონი კათალიკოსმა უწყობდა თუ რამდენად საშიში იყო ეს პროპაგანდა და ამისათვის იგი, — როგორც მოგვითხრობს მთავარ-ეპისკოპოზი ტიმოთე, — „სულთ-ითქვამდა“. თვითონ კათალიკოსი ანტონი გამოჰხატავს იმ სულიერს ქარიშხალსა, რომელიც აღაშფოთებდა მას მაშინ, როდესაც ჰხედავდა „მგელთა ხროსა ღვთის ცხოვართა დასარბევად მოვლენილსა“. აი იგი რასა სწერს: „მე უღირსსა მადლოი სისა მომეცა შთაგონებითა ღვთისათა უსამართლოებისათვის ერისა სკიპტრა უზენაესის მადლისა (ხარისხი კათალიკოსობისა) 24 წლისას დაბადებიდან. მივიღე რა იგი, მივეც თავი ჩემი აზრთა ღელვათა სრბოლასა, ვიტყოდრ თავისა ჩემისათვის, რაისათვის მომეცა მე ჭაბუკსა ესრეთი მადლი ყოვლად შემძლებელისაგან? ტირილმა და ვაებამა მოიცვეს სული ჩემი“. „მე მოწოდებულ ვარ, რათა გავარჩიო ყვაილი ეკალთაგან, ხორბალი ღვარძლისაგან და კეთილ-სუნნელება ქრისტესი მწვალებლების სიმყარლისაგან... ხოლო ეკლად, ღვარძლად, სიმყარლედ და სიბნელედ ვუწოდე მე მათ, ვინაც აღიარეს შეზავება ორთა ბუნებათა ქრისტესში, ვინაცა მისცეს სულსა ჩემსა მრავალი ვნებანი, შურმან შემჭამა მე, ოდეს ვხედავთ ამა ბაალის წინასწარმეტყველთა; რამეთუ იგინი წინააღუდგებოდნენ კათოლიკე ეკლესიის დადგენილებასა; ამხედრდნენ სამღვთო წერილის წინააღმდეგ, რა უკუ იქცენ ქვაკუთხედი-

\*) ძველი მართლ-მადიდებელი ტაძრები ტერტერებმა სომხურ ტაძრებად გადააკეთეს და ქართული წარწერებიც წარხცდეს. ეს ფაქტი რამოდენიმეჯერ იქმნა დასაბუთებულად ქართულ გაზეთების-მიერ. — შესანიშნავი ბოლნისის ტაძარი, მოწამე მართლ-მადიდებლობის აღევავებისა აქ ერთს დრას, დაანგრის თათრებმა და თლიდო ქვები უძველესი ტაძრისა, VII საუკუნისი, გაზიდეს სახლების ასაშენებლად.

დან (თავკიდური), რომელზედაც დაემხოების უწმიდური მათი მოძღვრებანი ძალითა სულისა წმიდისათა“.

განიზრახა რა ანტონმა მათთან ამხედრება, საომარ იარაღად აირჩია მან მხოლოდ სიტყვა—სიტყვა მეცნიერული. მაგრამ სხოლასტიკურ მქადაგებლებთან საუბრის დროს საჭირო იყო სხოლასტიკურივე მიმართულების ბაასი მათთან. გარდა ამისა, რადგან მოწინააღმდეგენი დაფუძნებულნი იყვნენ სხოლასტიკურს თხზულებებზე და სომხითის ეკკლესიის ისტორიაზედ, ამისათვის ანტონი უნდა გასცნობოდა ჯერ ამ თხზულებებსა. უნდა შეესწავლა ლათინურსა და სომხურს ენებზედ წმ. მამანი. საკმაო ვრცელი ლიტერატურა სომხის რასკოლის წინააღმდეგ უკვე იყო გადათარგმნილი და დაცული იმ დროინდელ მცხეთის და დავით გარეჯელის წინგთსაცავებში; რიცხვი ტომთა იყო 70,000. მოკლე დროში ანტონმა საკმაოდ შეისწავლა სხოლასტიკურ ღვთისმეტყველთა თხზულებანი და სომხური საეკკლესიო-საისტორიო-საღვთისმეტყველო მეცნიერებანი და აგრეთვე წმ. მამათა შრომანი ქართულს ენაზედ და მიჰყო ხელი თვისის ვრცელის შრომის შედგენასა. უზომო შრომისა გამო ანტონი დასნეულდა; თვით კათალიკოსის მოწმობით მისი ნათესავები და მეფის შვილები არ ურჩევდნენ მას ნამეტანს შრომასა. ექიმებიც უშლიდნენ თავი დაენებებია მოღვაწეობისათვის, რადგან ავადმყოფობა გაუჩნდა მას წელის მარჯვენა მხარეზედ, ღვიძლთანა (მზა-მეტყველება, წიგნი II, § 205).

მღვდ. კ. ანთაძე.

(შემდეგი იქნება)



## სატირალო ანუ გასვენება.

(შემდეგი \*)

„თავ-კაცი“ ე. ი. მოთავე, თავი კაცი, ვინც ყველა ამ მოსამსახურეთ თავში უდგია, თავ-კაცობს. ეს მიდის-მოდის მხოლოდ და თვალ-ყურს ადევნებს წეს-რიგს, მთელ საქმეს აწეს-რიგებს. მისი რიგია მხოლოდ სადილზე, პურის საქმელად, ხალხი მიიწვიოს; ვინ მოსარიდალია, ვინ აღრე მოსულა—ესეები არ გამოეპაროს; უსადილოდ არვინ დარჩეს, შინ უკმაყოფილო არვინ წავიდეს და მიცვალებული არ გალანძღონ. აი, მთელი მოსამსახურეთა კონტინგენტი. ესენია ამ დღის უფალნი, მოთავენი. მათ ხელშია ამ დღის ავიც და კარგიც. მათზეა დამოკიდებული ამ დღის ავად თუ კარგად წაყვანა, მათზეა დანდობილი ქირისუფლები, მათ სინდისსა და ნამუსზეა შეგდებული მთელი საქმის რიგიანად წაძღვანა, წესიერება. უნდათ, პირ-ნათლად გამოიყვანებენ მტერსა და მოყვარესთან ქირისუფლებს, უნდათ პირ-ნარცხვად, ქვეყნის ყბაში ჩააგდებენ. იმათ იციან და მათმა სირცხვილ-ნამუსმა! და ამიტომაც თავ-კაცად ყოველთვის სანდო კაცს აირჩევენ; ოჯახის ახლო-მონათესავეს, მეგვარეს, ვინც ავ-კარგის გაგება იცის და მისი მორიდებაც აქვთ. რასაც ის ბრძანებს, უარის თქმა არვის შეუძლიან—მთელი განკარგულება მის ხელშია. ამისთანა თავ-კაცებიც ამორჩეული ჰყავთ, ძველ ყადვით, სოფელ-კუთხეს; თითო-ოროლა ასეთი პირები ყოველ კუთხეს ჰყავს, ყველგან მოიძებნება და იმათაც ერთხელვე დაჩემებული აქვთ ეს მოვალეობა-ხელობა—თავ-კაცობა და საქიროების დროსაც ჩვეულებრივად მას მიმართვენ. ესეც თავს იწონებს და თქმაც აღარ უნდა... თავადაც მიეტეტებიან, თავადვე მოითხოვს, რომ არ მისცენ, თითქოს მას დამკვიდრებული ჰქონდეს. და გულიც დასწყდება, საწყენად დარჩება, რომ გააწბილონ, — და ძალიანაც!.

\*) იხ. მაგზაური № 1.

ქირისუფლებს გარდა \*) ამათ ყველას დიღასვე დასხმე ჰამად, მერე საჰმელად ვეღარ მოიციღიან, ფეხზე თუ რასმე წაჰამენ, თუ არა, ესენიც დაჯღებიან, კარგა-გუნებიერად გამოისისნებიან, მოვლენ ქეიფზე და მერე თავიანთ საჰმეს შეეცღებიან.

ჯღომაც თუ სხღომაც ეზოში იციან თუ ამინღია, სეფაში ანუ ცის ქვეშ, თუ არა და—სახღში. სუფრაც ორნაირია: ერთი თავად-აზნაურობისათვის ანუ მოსარიღალი პირებისთვის და მეორეც—გღეხებისთვის ანუ უბრაღო ხალხისთვის.

მოკლეთ, აი. სურათი ამ მზადებისა: შინ—ტახტის თავში კებო ღვას: თავს აღვია შემოსიღი ღვღელი \*\*) და მოტირაღლი რომ ტირის, ის საცეცხღურს უჰნევეს, უჰმევეს \*\*\*). თავით ნათღული უღვია კერასით (მადღიაო, საიქიღს გზას გაუნათებსო). კუბოს უჰან ტახტზე ჩამომწკრივებული ქირისუფლები, დაშავებული, თმა-გაშღიღი, გულ-შეხსნღი. აჰეთ ყურეში ფეხზე ღვანან მოზარეები (ანუ და ხელ-გულ-და-ჰღობიღი მოტირაღლი, დაჩოქეიღი და მისი მოთჰმა და მოზარეების ზარი-ღრიღლი: და ქირისუფღების ქეითინი და ზრიღლი). კარზე მეკარეები და ჩამყოღი; კარში—სუფრა გაშღიღი, მოსამსახურეების მიღვიღ-მოღვიღი, უაზროღ ბჰუღი.

\*) ქირისუფღები არას სჰამენ, სანამ მოტირაღლი არ მოთავღღება.

\*\*) რაც მოსარიღღია მიცვაღებული ანუ გამოჩინებული. აჰეს ტირიღი, შით მეტია ამ თავზეღ მღგურ ღვღელთა რიგსჰი. თავის ღვღელი უფვეღთავის, ხღღ წესის აგებაზე უვეღა ღვღღები იღებენ მონაწიღობას. გარეშე ღვღღებსაც ამისთვის ხშირად თავ-თავის შესამოსღით დაჰზატიუებენ ხღღმე. გამოჩინებულ ასაბიას თავისი ღვღელი, დიაკონი და მოზარეებიც თან ახღავთ.

\*\*\*) იჰნება მიცვაღებულიის გახრწნიღ სხეუღისკან კამღგარ სუნს (სიღმურაღეს) აჰარეებღენ ამით, ე. ი. საკმეუღის სუნით, და ეს კმეუღც მისთავის იუღს მოგონიღი?

ტირილი აქ გულის მწუხარებით უცაბედი აჩრჩვილება, მწუხარების ვადმოხეთქა, ნაღვლის გადმონთხევა კი არ არი, გრძნობის ადუღება (აჩქაროლება), — ხელობაა. „კარგად ის ტიროდა“, კაი ტირილი ამან და ამან იცის, — იტყვიან ხოლმე: ჯირკზე რომ მიაყენო, იმას იტირებსო“. ტირილი აქ ხელობაა, მოტირლად თავის მოჩვენებაა, მოტირალის დამსგავსებაა. ერთხელვე აქვთ გაზეპირებული მოსათვალავივით. სახეს დაპრანჭვენ... დახე, ცრემლიც რომ წამოუვით!.. ზოგიერთები, რომელთაც ტირილზე ცრემლი არ მოუვით ხოლმე, ნიორს იგულებენ ჯიბეში, და რომ მიუახლოვდებიან ქირისუფლებს, მაშინ ამოისვამენ თვალში ნიორიან ხელს — ცრემლი მომივაო... და გადუკიდებენ... ნიანგის ცრემლებსა ჰღვრის!. არა, იმერელი არტისტია!.. ეს ტირილიც არტისტობაა, დროთა განმავლობაში ხელობად გადაქცეული.

ტირილი გაკიანურებულად იციან. მისი კილო გალობასავით არი, გალობის პირველი ამოსაღებია. სიტყვებს მარცვლენ და ალაგ-ალაგს თავზე ჩაუქირქილებენ, ჩაუწვითინებენ.

ტირილი სათითოულოდ იციან; ერთი ტირის და მეორე ჩაჰყვება როცა ასაბია მოდის, ვინც ახლობელთაგანია, ანუ ვისაც ტირილი უნდა, ისინი დარჩებიან, სხვები კი ერთად ჩაჰყვებიან ყველა მოტირალს; ის სტირის, მოსთქვამს და სხვები ქვითინებენ, თუ არა და ბურსულით (ცხვირ-სახოცით) თვალებს ისრესენ, მით, მართლა თუ განგებ, ცრემლს იწმენდენ \*). ქირისუფლებიც გაჩუმებული არიან, მხოლოდ მაშინ აქვითინდებიან, როცა მოტირალი ტირის \*\*). როცა მიუტირებს ქირისუფლებს, მაშინ აზრიადლებიან ერთ-ხმად; უამისოდ სდუმან. ხოლო ვინც კაი ტირილი იცის, აი ის კაკანობს, მოსთქვამს, კრიახობს და მაშინ წყნარდება, მოტირალი რომ მოვა, მხოლოდ.

\*) ძველად ასე სცოდნიათ ტირილი: მხოლოდ ერთი კრიახობდა, მოსთქვამდა და სხვები ქვითინებდნენ თურმე, და იმათ მოქვიანეს ეძახდნენ.

\*\*) და ისიც მაშინ, თუ რაიმე საკრძნობელს იტყვის.

აი, სურათიც:

მიუახლოვდებიან თუ არა ჭირისუფლის სახლს, აუშვებენ ხმას, შემოსძახებენ ცივის ხმით: „ვაი ამ დღის მოსწრებას (თუ მომსწრებს!)“ და მით ატყობინებენ მათ—მოვდივართო. შეიქმნება სახლშიაც ერთი ზრიალი. „ვაი ჩემს უბედურობას!“ შემოიკრავს თავში ხელს. „ვაი ჩემს მოსწრებას!“ „ავოი-ვოო!“ გაღუკიდებს ზარს მოზარეები, რომ იმ ზარით უშნო ტირილი გააშვენოს, მკაფიოდ სიტყვის გამოთქმას უშლის და მოტირალს სატირლად აქეზებს. ესეც გათამამებული შემო-ჰკივლებს. მას აჰყვებიან ჭირისუფლები და ერთი ღრიალი შეიქმნება, ზრიალი, წივილ-კივილი და არი ერთი ვაი-უშვე-ლები. ყურთა-სმენა აღარ არი: ტირილი მოტირლის, ზარი მოზარეების, მოთქმა ჭირისუფლების ერთად არი აცმული. გაგება აღარ არი. მხოლოდ „ვაი-ვაი“-ლა ისმის, მეტი აღა-რაფერი \*).

ტირილის შინაარსიც ეს არი:

ჩემო კარგო ბიჭო! ამკობენ ყველას, ბრალიანს და უბ-რალოს სანაქებო თვისებებით.—რად მოგვიძულე, რომ ასე უდროოდ მოგვეცილდიო. ბრალი არ არი შენი სიკვდილი?! ასე უნუგეშოდ დატოვე შენი საყვარელი მშობლები თუ მონათესავე. ვაი ჩვენს უბედურობას (ჩვენს დღეს)!. რა გაუტანელია წუთისოფელიო! მაგრამ — ანუგეშებენ — გული ნუ დაგწყდება, რადგან ეგ ბედი ყველას თავს გაღუვალიაო, ეგ დღე ყველას მოელის... შენ აღრე მაინც მოიხადე შენი ვა-ლი და მით, თითქოს, ბედნიერი ხარო, შენატრიან მას! ჩვენ რაღა ვქმნათო? შენ რა გიჭირს? გათავისუფლდი, მორჩი ერთ უბედურობას... მაგრამ!. სატირალი შენი ჭირისუფლე-ბია, ვისაც შენი ნუგეში მოაკლდებათო“.

მერე გამოეთხოვებიან მიცვალებულს, თავის მკვდარს დაატირებს და ჭირისუფლებს მიუტირებენ და ჩამოუვლიან, რომ მით საზოგადოებაში გულის წყვეტა გამოიწვიონ.

აფრ. მერკვილაძე.

\*) და მთელი დღე ასეა ღრიალი, ტირილი და სატირალიც მიტომ დარქმევია ამ დღეს.

# ქართველთ მოქცევა.

ნინოს გამომგზავრება.

„მოვედ ეფესოს, —  
მოგვითხრობს ნინო, —  
„ქალაქს საჩინოს,  
დიდს საპატრონოს.

„მძვეც ნათელი  
რიფსიმ დედოფალს,  
მასთანც ნათელ-ვეც  
ორმეოცს მხევალს.

„პირველსა მარტსა  
ვივლტით სომხითსა,  
თრდატის ქალაქსა  
მოვედით დვინსა.

„თრდატმან მეფემან  
აღწყვიტა ქალნი —  
რიფსიმ, გაიან,  
ას-სამნიც სხვანი;

„მხოლოდ მე დავშთი  
ვარდ-ნუშთა ყურეს,  
წმიდათა ნაშთი  
ძალთ გადუყარეს.

„მიწყნარდა მხარე,  
მეც გავიხარე,  
ორბანთად მერე  
გამოვეჩქარე.

„არეს ჩრდილოეთს  
მოველ ჯავახეთს,



ძველსა მჰს შესხეთს,  
ტბასა ფანავრეთს.

„ვიხილენ მთები  
კავკასიონის,  
თოვლ-მოსილები  
დროსა ზაფხულის.

„პირსა ფარავანს,  
კამკამსა წყლოვანს,  
დავშთი დღესა ორს  
ადგილს ველოვანს.

„აქ მეთევზურნი  
იყვნენ მრავალნი,  
ბევრნიცა მწყემსნი,  
ძროხათ შხმილავნი.

„არმაზსა, ზადენს  
ვევდრებოდნენ,  
ტბისაცა ნადენს  
მტკვრად უწოდებდნენ.

„მივმართე ამ კაცთ:  
ძმანო, ვალი გაცთ  
მასწავლოთ გზანი  
არმაზ-გაიმ-გაცთ!

მრქვეს: „მტკვარს მიჰყეო,  
მცხეთს მიგიყვანსო,  
იქა დაჰყეო,  
ჰნახავ არმაზსო“.

„ლოდი დავიდევ  
სასაუნლად მაშინ,  
საძილედ დავწევ,  
თავს ვარქვ: „ნუ გეშინ!“

„სიზმრად მეზმანა  
კაცი ახოვან,

წიგნი \*) მან მიძღვნა,  
იყო ოქროვან.

„გავიღვიძენ რა,  
შევუღვებ გზასა,  
წარმოველ ჩქარა,  
მოგყუვი მტკვარსა.

„გზასა ფიცხელსა  
ვიხილენ ქირნი,  
უღაბურს ველსა  
ვითმინენ შიშნი.

„ქართლის სანახებს  
ვპოვენ მე მგზავრნი,  
ურბნისის ვაჭრებს  
მოჰქონდათ ტვირთნი.

„მათ მომიყვანეს  
დაბასა ურბნისს,  
აქ დავყავ ბაგინს \*\*)  
ქალაქის ურბნის.

„თვისა დასასრულს  
წავედით მცხეთას,  
იქ ღღესასწაულს  
ჰმართავდენ მოგვთას (\*\*\*)).

ღ—ქ.

\*) სახარება.

\*\*) ბაგინი—ურიათ სალოცავი.

\*\*\*) მოგვთა—მთა მოგვებისა (არმაზის მთა).

მთავრობის ნება-დართვით

მოდხვალ 15 მარტს გაიხსნება ქ. თბილისში

## სამეურნეო სასწავლებელი

ბაღოსობისა, მევენახობისა, მებოსტნობისა და მეფუტკრეობისა, რომელშიაც მთელი სწავლა დამთავრდება რგა თვეში (დაიწყება 15 მარტს და გათავდება 15 გიორგობის-თვეს). სკოლაში მიიღებიან რუსული წერა-კითხვის მკოდნე ყმაწვილები, არა ნაკლებ 15—16 წლისანი. ვინც სწავლას კარგათ გაათავებს, მიეცემა მოწმობა. ფასი მთელის სწავლისა რვა თუშანია. ვისაც ჰსურს მიიღოს სკოლის დაბეჭდილი წესდება, უნდა გამოგზავნოს 7 კაპ. მარკა. თხოვნები მიიღება 10 მარტამდის, ჯერით.

ადრესა: *Во Тифлисе, Завод. Ивану Павловичу Ростопашвили (Давид. переул. № 20).*

28  
19

ОРКРЫТА ПОДПИСКА  
на общественно-педагогическую литературную ежене-  
дную газету

# ЖИЗНЬ И ШКОЛА

съ приложением ШКОЛЬНОЕ ОБОЗРѢНІЕ (годъ XIV).

Запросы современной жизни и школы съ каждымъ днемъ осложняются, становятся серьезнѣе, острѣе и требуютъ вдумчи- ваго и трезваго рѣшенія. Мы идемъ на встрѣчу этимъ запросамъ и по мѣрѣ нашихъ силъ служимъ выясненію и удовлетворенію ихъ. Мы не замыкаемся въ узкой рамкѣ будничной „жизни“ и тѣсныхъ стѣнахъ „школы“; шире раздвигаемъ нашъ горизонтъ и смо- тримъ на жизнь, кнѣзъ на школу, а на школу, какъ на жизнь. И поэтому всѣ явленія русской жизни и школы будутъ съ возможною полнотою отражаться въ нашемъ изданіи. Главное вниманіе наше попрежнему будетъ обращено на основные вопросы духовной жизни и идеальной школы.

При газетѣ издается въ видѣ приложенія особый сборникъ, подъ заглавіемъ: ШКОЛЬНОЕ ОБОЗРѢНІЕ, въ которомъ помѣ- щаются статьи по объему, неудобныя для еженедѣльной газеты и будутъ размѣщаться по слѣдующимъ отдѣламъ, съ особою по- мерациею страницъ въ каждомъ:

I. *Беллетристическій*: а) стихотворенія (ориг. и перев.); б) рассказы, очерки, воспоминанія и пр.

II. *Научно-популярный*: а) статьи по педагогикѣ, природѣ и обществу; б) научная хроника.

III. *Критико-библиографическій*: а) статьи и б) обзоръ новыхъ книгъ.

Такимъ образомъ въ теченіе года подписчики получаютъ:

52 №№ газеты ЖИЗНЬ и ШКОЛА и

ШКОЛЬНОЕ ОБОЗРѢНІЕ въ видѣ особаго приложенія.

Подписная цѣна съ доставкой и пересылкой 5 РУБ., для начальныхъ школъ и учителей 4 РУБ., за границу—6 РУБ. на годъ. Доставившему подписку на 5 экз.—шестой бесплатно.

Кромѣ того, подписавшимся на годъ предоставляются слѣ- дующія льготы: а) годовые подписчики пользуются правомъ без- платнаго помѣщенія объявленій на послѣдней страницѣ газеты и б) иногородные подписчики имѣютъ скидку до 20% съ продаж- ной цѣны всѣхъ книгъ, брошюръ и т. д., выписываемыхъ черезъ посредство конторы газеты «Жизнь и Школа».

Оставшіеся въ небольшомъ количествѣ полные комплекты газеты за 1893—1896 гг. можно получать за два руб., 1898—1901 гг. по три руб. за годъ. Библіотеки и бесплатныя читаль- ни пользуются особой уступкой. Подписчики, приобретающіе за всѣ года, пользуются, сверхъ того, уступкой—50%.

*Вышедшіе* №№ «Школьнаго Обозрѣнія» и „Жизнь и Школа“ текущаго года, по требованію, высылаются наложеннымъ плате- жомъ на счетъ конторы.

Подписка принимается въ главной конторѣ *Жизнь и Школа*, С.-Петербургъ, Загородный пр., 34.

Редакторъ-издатель *М. Е. Виноградовъ*.